ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 25 თებერვალი 1997 №21 (386) ფასი 40 თეთრი



აწ უკვე გასაიდუმლოებული ობიექტი — შოთა იამანიძის, 5. სფფ

## სფფ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# ფინალს, ალბათ, რიკოთზე ჩაატარებენ

დღეს ფეხბურთის ფედერაციაში მორიგი ხალხმრავლობაც იქნება და ერთობ საინტერესო ამბებიც დატრიალდება. ერთი იმიტომ, რომ როგორც იქნა, თავი მოება თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრას და იგი დღეს მოეწყობა. არადა, ეს წილისყრა ჯერ კიდევ შარშან უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ „დინამოს" მეოთხედფინალში გასვლა დააგვიანდა და ამიტომაც გაჭიანურდა. ცნობილია, რომ დღევანდელი წილისყრაც ტერიტორიული პრინციპით მოეწყობა. გათამაშებას შემორჩენილი 8 გუნდიდან 4 აღმოსავლეთიდან და ამდენივეც დასავლეთიდან გახლავთ. თუ ძალთა თანაფარდობას გავითვალისწინებთ, მაშინ დასავლეთს უფრო ძლიერები გამოჰყავს, ვიდრე აღმოსავლეთს. ჰოდა, არ არის გამორიცხული, 5 მარტს ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „დინამო" — „მერანი" ან „კოლხეთი" — „ბათუმი". ახლა დანანებით ხელების შლა და ვიშვიში გვიანია. წილისყრის მონაწილე გუნდების ხელმძღვანელთა უმრავლესობამ ტერიტორიული პრინციპი თავად ირჩია. ისე, ცოტა უცნაურიც კია, რატომ გადაწყვიტა ასე ფეხბურთის ფედერაციამ. მიზეზი თითქოს ისაა, გუნდებს ფინანსურად უჭირთ და იქნებ ტერიტორიულმა პრინციპმა ზედმეტი კილომეტრების კეცვას ანუ ზედმეტ ხარჯებს გადაარჩინოსო. არა გვგონია, ალალი საბაბი იყოს ეს ყოველივე. ჯერ ერთი, გათამაშებას შემორჩენილი გუნდები არც მთლად წყალწაღებულნი არიან ფინანსურად, ის კი არა, შეიძლება საკმაოდ წელგამართულებადაც მივიჩნიოთ. შედარებით ხელმოკლეებად „სიონი" და „მარგვეთი" მიიჩნევიან, მაგრამ ამ ბოლო დროს ისინიც საგრძნობლად მოღონიერდნენ, ასე რომ, უსაშველო არც მათ სჭირთ რამე. ვერც იმას მივმხვდარვართ, რა ისეთი მნიშვნელობა ექნება ზესტაფონელთათვის იმას, ზუგდიდში წავლენ თუ თბილისში ჩამოვლენ. ორივე შემთხვევაში, ფაქტობრივად, თანაბარი მანძილის გავლა მოუწევთ.

არ გვიწყინონ გუნდებმა, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ დასავლეთში „მარგვეთი", აღმოსავლეთში კი „სიონი" და „შევარდენი" თავიანთ სავარაუდო მეტოქეებთან „კოლხეთთან", „ოდიშთან", „ბათუმთან", „დინამოსთან" და „მერანთან" მარცხისთვის განწირულნი არიან. უფრო მეტად უჭირდა საქართველოს, ომიც მძინვარებდა, მაგრამ რატომღაც აღმოსავლელს დასავლეთში და პირიქით მგზავრობა არ უძნელდებოდა. „კოლხეთი" თელავს ჩასულა, „დინამო" კი „ბათუმს" სტუმრებია. არ ვიცით, ფედერაცია რას ფიქრობს, მაგრამ ზოგი უკვე ხუმრობის ხასიათზე მოსულა, ესენი ნახევარფინალსაც ტერიტორიული პრინციპით ჩაატარებენო. ზოგი კი იმას ჯავრობს, რაღას გვაწვალებენ, პირდაპირ გვითხრან, ვინ გაყავთ ფინალშიო. ასეა თუ ისე, „დინამო" ალბათ დაუბრკოლებლად გავა ფინალში, დასავლეთელები კი ერთმანეთს დახოცავენ. მოკლედ, დღევანდელ წილისყრაში, რომელიც 13 საათზე დაიწყება, ინტრიგაც საკმაო იქნება.

დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმეა ფედერაციაში. წილისყრის მერე, 14 საათზე ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა დაიწყება. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხია — ეროვნული ნაკრების ახალარჩეული ხელმძღვანელობა ფედერაციას სამუშაო გეგმას წარუდგენს. დღესვე გავიგებთ ალბათ, დაამტკიცებს თუ არა აღმასკომი ყიფიანის და ძოძუაშვილის გეგმას. ალბათო, იმიტომ ვამბობთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ, უპირველესად კი გენერალურმა მდივანმა ფედერაციის შენობაში ჟურნალისტების შესვლა აკრძალა. ისე გამოდის, რომ ჩვენ ვერც პრესსამსახურს მივაკითხავთ და ჩვეულებრივ ამბებსაც ვერ გავიგებთ. ჯერ არაფერი თქმულა იმის თაობაზე, შეუძლიათ თუ არა ჟურნალისტებს ფედერაციის შენობასთან დგომა. მოკლედ, ფეხბურთის ფედერაციამ, ფაქტობრივად, ომი გამოგვიცხადა და იქაურ მოხელეთა თქმით, ისინი ჩვენთვის ამიერიდან მუნჯები არიან. საალყო წესების შემოღება ჯერ არცერთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას არ უცდია. არ უცდია კი არა, აზრადაც არ მოსვლია. ასე რომ, ამ საქმეში ჩვენი ფედერაცია პირველი, ერთადერთი და განუმეორებელია. ერთ ამასწინდელ საგაზეთო ინტერვიუში ნოდარ ახალკაცი ბრძანებდა, ჩვენი მუშაობა ევროპაში ძალიან მოსწონთო. თავი გავანებოთ იმას, რომ ევროპელთა გემოვნებაზე ხალხს სხვაგვარი წარმოდგენა აქვს და პირდაპირ ეს ვიკითხოთ: როგორ ჰგონია პრეზიდენტს, ამაზეც გაუგიჟდებიან ევროპელები, ეს რა კარგი რამ მოგიგონებიათ საქართველოშიო?

## «დინამო» ყიფიანს დაუბრუნდა



აშხაბადიდან დაბრუნებულმა თბილისის დინამოელებმა ვარჯიში განაახლეს. გუშინ დილმის ბაზაზე ერთი საინტერესო მატჩის მოწმენი გავხდით. ორმა „დინამომ" ერთმანეთში ითამაშა. „უფროსებმა" პირწმინდად დაჩაგრეს „დინამო 2". იგრძნობოდა, რომ დინამოელები ნელნელა გამოდიან სტრესიდან და თურქმენული ფიასკოს შემდეგ ნაყოფიერად ემზადებიან კარს მომდგარი მეორე წრისთვის. მანამდე კი პირველი წრის გამოტოვებული, მეტად პრინციპული შეხვედრა ელით ზუგდიდში „ოდიშთან", რომელიც თბილისელებმა შესაძლოა უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩაატარონ. საქმე ისაა, რომ აშხაბადიდან დაბრუნების შემდეგ ტრავმებს შეუწუხებია დემეტრაძე, კერძევაძე, ზამთარაძე, კუნთი დაეჭიმა დიდავას. სხვები კი მწყობრში არიან, მათ შორის გოგიჩაიშვილიც, რომელიც ზემოთ ნახსენები თამაშისას ისე ირჯებოდა, გეგონებოდათ, დაშავებული საერთოდ არ ყოფილა. გამორჩევის ღირსნი არიან ლევან ხომერიკი და დავით ყიზილაშვილი, რომლებმაც ექვსი გოლი თავად შეაგდეს, დანარჩენი ორი კი ჩხაიძეს და ცქიტიშვილს გაატანინეს. უფროსი „დინამოს" კარს ჯერ ირაკლი ზოიძე იცავდა, შესვენების მერე კი ზვიად კუპატაძე. თუმცა, მეკარეებს, ეტყობა, დაეზარათ კარებების შეცვლა და ამიტომაც მოხდა ამგვარი „როქი". დაცვაში მაჭავარიანი, ჯელაძე და კალაძე თამაშობდნენ, ნახევარდაცვაში ხუთნი — გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, მუჯირი და ჩხაიძე. თავდასხმაზე ზემოთ ვთქვით, რვა „მშრალი" გოლი ალბათ ყველაფერზე მეტყველებს და მატჩის დაწვრილებით აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ. იმასღა ვიტყვით, რომ ფეხბურთის მონატრებულ გულშემატკივრებს 1 მარტს ზუგდიდში ნაღდი ბრძოლის ხილვა ელით. ვარჯიშის შემდეგ დინამოელთა თავკაცს გავესაუბრეთ.

**— ბატონო დავით, ხუთ დღეში უპრინციპულესი მატჩი გელით ზუგდიდში. დღევანდელი შეხვედრაც საკონტროლო მატჩად ხომ არ განვიხილოთ?**

— როგორც გენებოთ. ფუი, ეშმაკს და, კმაყოფილი ვარ გუნდის თამაშით — როგორც ვარჯიშზე, ისე ლაღად ასრულებდნენ ყველაფერს. გოლებიც ასე გავიდა — დამუშავებული კომბინაციების შემდეგ.

**— აშხაბადური მატჩების ვიდეოჩანაწერებს თუ გაეცანით?**

— ნელ-ნელა ვეცნობი და გადარევას ვარ, ისე უნიათოდ გამოიყურება გუნდი. ამ მატჩებისთვის უკვე მკაცრად მოვკითხე ფეხბურთელებს და ეს მათ ხელფასსაც დაეტყობა.

**— ზუგდიდში წინა დღეს გაემგზავრებით?**

— ალბათ სენაკში ჩავფრინდებით თამაშის დღეს და იქიდან გადავალთ ზუგდიდში.

**— თასის მერვედფინალში გუნდებს კვლავაც ტერიტორიული პრინციპით დააჯგუფებენ. ამაზე რა აზრისა ხართ?**

— ჩვენთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ასეც და ისეც მოგებაზე უნდა ვითამაშოთ.

კობა ინასარიძე

## ნაკრები ისრაელიდან დაბრუნდა და ბერძნებს ელის

### ხვალ სპორტის სასახლეში

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი. საქართველოს ნაკრები ჯგუფის ლიდერს, ევროპის ერთ-ერთ მოწინავე გუნდს, საბერძნეთის ნაკრებს ეთამაშება. ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად საქართველოს ნაკრებს ერთკვირიანი შეკრება ჰქონდა ისრაელში, თელ-ავივთან ახლოს, ვინგეიტის ბაზაზე და თბილისში გუშინ დაბრუნდა. ვესაუბრეთ ნაკრების უფროს მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს.

**— კმაყოფილი ხართ შეკრებით?**

— ნაკრებს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი სავარჯიშოდ და ეს პირობები მაქსიმალურად გამოვიყენეთ, ასე რომ, კმაყოფილი ვარ.

**— მატჩები თუ ჩაატარეთ?**

— სამი მატჩი ვითამაშეთ. ორჯერ შევხვდით ისრაელის მეორე ლიგის გუნდებს. ორჯერვე ჩვენი უპირატესობა აშკარა კი იყო, მაგრამ ეს შეხვედრები, ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, სასარგებლო იყო ტაქტიკური ვარიანტების შესამუშავებლად. მესამედ ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებს შევხვდით. პირველი ტაიმი 18 ქულით მოვიგეთ. მეორე ტაიმში, ასე 23-ე წუთზე, როცა შეხვედრას 22 ქულით ვიგებდით, დარბაზში წვიმა ჩამოვიდა, მოთამაშეებს ფიცარნაგზე ფეხი უცურდებოდათ და მსაჯმა თამაში შეწყვიტა. ასეთი დასასრულის მიუხედავად ამ მატჩითაც კმაყოფილი ვარ.

**— ვინ ითამაშებს ბერძნებთან?**

— ამას მატჩის წინა საღამოს ვიტყვი. ჯერჯერობით 13 კაცი ემზადება: თორთლაძე, ჩხეიძე, დადიანი, ნაცვლიშვილი, ქარაბაკი, სანაძე, ორმოცაძე, კოკოლიშვილი (ყველა „ვითადან"), ბეჟანიშვილი, ხოშტარია, მაისურაძე („დინამო"). ბერძენიშვილი უკვე ჩამოვიდა სლოვაკეთიდან. დღეს სტეფანიას ველოდებით. ამ ცამეტიდან დავასახელებ იმ ათ კაცს, ვინც ბერძნებთან ითამაშებს.

ხვალინდელი მატჩი სპორტის სასახლეში 18 საათზე დაიწყება.

კოტე მგალობლიშვილი

ინგლისის ჩემპიონატი. 26-ე ტურის ბოლო მატჩი

**ვესტ ჰემი 4:3 ტოტენჰემი**

**0:1 შერინგემი (7), 1:1 დიქსი (20), 2:1 კიტსონი (22), 2:2 ანდერტონი (27), 3:2 ჰართსონი (37), 3:3 ჰაუელსი (53), 4:3 დიქსი (72 პ)**

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადება განაახლა საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრებმა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ გაგუამ 18 მოთამაშე შეკრიბა: მეკარეები — გიორგი სომხიშვილი („დურუჯი", ყვარელი), გიორგი კალანდაძე („ფაზისი", ზუგდიდი), კახა კუტალაძე („ნორჩი დინამოელი"); მცველები — გიორგი ლოლაძე, ვლადიმერ კაკაშვილი, ედიკ საჯაია, ზურაბ ხიზანიშვილი, ოლეგ გველესიანი („ნორჩი დინამოელი"), ჯაბა სიამაშვილი, პაატა ჩაზუნაიშვილი („ბათუმი-2"); ნახევარმცველები — ვლადიმერ ბურდული, გიორგი დეკანოსიძე, არჩილ მჭედლიშვილი („ნორჩი დინამოელი"), მიხეილ სოსელია („ავაზა"), არჩილ რომანაძე („ბათუმი"); თავდამსხმელები — შალვა აფხაზავა („ბათუმი-2"), ირაკლი შენგელია (53-ე სკოლა). ლაშა ჯაკობია ბელგიის „სტანდარდის" ახალგაზრდულ გუნდში ვარჯიშობს და ნაკრებს მხოლოდ მარტში შეუერთდება.

# თავში ნუ აგვივარდება

ვარჯიშის დაწყებამდე რეზო გაგუამ მოთამაშეები ასე დამოძღვრა: „მსურს მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რაც თქვენ საბერძნეთში შესძელით და რისი წყალობითაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავედით. თქვენ ქართული ფეხბურთისთვის დიდი საქმე გააკეთეთ. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. წარმატება თავში არ უნდა აგვივარდეს. ნურავინ იფიქრებს, რომ გერმანიაში იავარდით მოფენილი გზა გველის და მეტოქეებს იოლად ვძლევთ. შრომის და კარგი მომზადების გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. ამიტომ ყველას, გთხოვთ, სამომავლო წარმატებისთვის დღეიდანვე ვიზრუნოთ და შესაძლებლობის მაქსიმუმი გავიღოთ. რეჟიმი ყველასთვის ერთი იქნება — ვარჯიში, დასვენება, ვარჯიში, სახლი. არავითარი ხეტიალი! მე ყველას ტელეფონის ნომერი მაქვს. დავრეკავ და, თუ რომელიმე სახლში არ დამხვდით, დაისჯებით. ამის შესახებ წინასწარ გაფრთხილებთ. ვარჯიშებს უმაღლეს დონეზე მაქსიმალური დატვირთვებით ჩავატარებთ, რადგან ბათუმის შემდეგ უამინდობის გამო შეკრების დროულად დაწყება ვერ შევძელით. ამიტომ მზადების დაწყება, ფაქტობრივად, თავიდან მოგვიწევს. ყველას გთხოვთ, თავს ნუ დაზოგავთ და ნუ ფიქრობთ, ვაითუ ფეხი ვიტკინო და გერმანიაში ვერ წავიდეო, შიშის გამო ვარჯიშებზე ბრძოლას არ უნდა ერიდოთ. ასეთები ნაკრებში არ გვჭირდება".

ამის შემდეგ მოთამაშეებს საჭირო რჩევა-დარიგებები მისცეს მეორე მწვრთნელმა ოთარ რუხაძემ, ნაკრების ექიმმა თეიმურაზ თურმანიძემ, მასაჟისტმა როლანდ ხვადაგიანმა. დამოძღვრილმა მოთამაშეებმა ჩაბნელებული გასახდელი დატოვეს და სტადიონის სარბენ ბილიკებზე მსუბუქად ივარჯიშეს, ეგაა, ნაავადმყოფარი რომანაძე, სოსელია და ბურდული აკლდათ. ვარჯიშამდე ნაკრების კაპიტან გიორგი ლოლაძეს გავესაუბრე, რომელიც მომავალი შეჯიბრების წინ ოპტიმისტურად არის განწყობილი: „გერმანიაში წარმატებისთვის თავს დავდებთ. კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც არ ვართ უიმედოდ. ვიცით, გერმანიაში გაცილებით ძნელი თამაშები გველის, ვიდრე საბერძნეთში გვქონდა, მაგრამ ეს არ გვაშინებს და არცერთი მეტოქის არ გვეშინია".

ნაკრები დღეს 12 საათზე ეროვნული სტადიონის წიდისსაფარიან მოედანზე პირველ საკონტროლო შეხვედრას გამართავს „მრეტებთან".

**მერაბ გამულაშვილი**

**ამერიკული ფირმა**
*გთავაზობთ*

წონის დაკლების,
მომატების, სტაბილიზაციის
უნიკალურ პროგრამებს
ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი
გაუმჯობესებით.

ცნობებისთვის დარეკეთ: ☎ 37 14 41

# რეზო არველაძე აგენტს ელის



ორიოდ კვირის წინ ვესაუბრეთ რეზო არველაძეს, რომელსაც წელის ტრავმა აწუხებდა. რეზოს წელის ტკივილმა ამხანაგური მატჩიც გამოატოვებინა, ბელგიის ნაკრების კანდიდატებსა და ლეგიონერებს შორის რომ იმართებოდა და ჩემპიონატის ორი უმნიშვნელოვანესი მატჩიც — „მეხელენი" ორივეში დამარცხდა. ბოლოსდაბოლოს, რეზო მომჯობინდა და „მეხელენმაც" სწორედ მისი გარლვევისა და საგოლე პასის წყალობით მოიგო ю სტუმრად „გენკთან".

— ახლა 26 ქულა გვაქვს და „შარლერუას", „მოლენბეკთან" და „ეკერენთან" მე-13-16 ადგილებს ვიყოფთ.

ორი გუნდი ქულით გვისწრებს, ხოლო „გენტი" ორი ქულითაა წინ. კვლავ სახიფათო ზონაში ვიმყოფებით, მომდევნო მატჩი „სტანდარდთან" გვაქვს შინ და თუ მოვიგეთ, უმალ რამდენიმე საფეხურით ავინაცვლებთ ცხრილში. ის ორი მატჩი რომ არ წაგვეგო — შინ „სენტ ტრიუდენთან" 0:2 და სტუმრად „ლიერსთან" 2:4, უფრო კი — ჩვენს კონკურენტ „სენტ ტრიუდენთან", ახლა ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე აღარ ვიდგებოდით. წელი მომირჩა, საზარდულიც მტკიოდა და ისიც მოვირჩინე, ვფიქრობ, „სტანდარდს" შეუპოვარ ბრძოლას გავუმართავთ.

ახლახანს ტყუპებს დავურეკე. გუშინ ორივეს 24 წელი შეუსრულდა, მივულოცე და ჩემპიონობა ვუსურვე. ახლა ისინი კვალში მიჰყვებიან ლიდერებს და ჩემპიონობის რეალური შანსი აქვთ.

**— ყიფიანის დანიშვნის შესახებ შეიტყობდი...**

— რა თქმა უნდა, აქაურ პრესაშიც დაიწერა. ნაკრების წევრებიც და კანდიდატებიც ყიფიანის მოყვანილები ვართ „დინამოში" და მასზე უკეთ ყველას ავკარგი არავინ იცის.

**— მაშ, შაბათს „სტანდარდის" წინააღმდეგ ითამაშებ, იმ „სტანდარდისა", „დინამო" რომ ორჯერ გაამწარა.**

— ამ თამაშს გუნდის ინტერესების გარდა პირადად ჩემთვის ექნება მნიშვნელობა — ერთი აგენტი ჩამოდის და თუ ყველაფერი კარგად იქნა, არაა გამორიცხული, სხვა ქვეყანაში გადავიდე სათამაშოდ, თანაც, გაცილებით ძლიერ კლუბში.

**მამუკა ქვარაცხელია**

# „მერანში" ახალი სახელებია

სეზონისწინა მზადებას „მერანში" 35 მოთამაშე გადიოდა, თუმცა, გუნდის პრეზიდენტის ნუგზარ ნავაძის თქმით, საბოლოოდ რვა ფეხბურთელი დაიმატეს: დათო გოდერძიშვილი, სოსო მალანია, რომეო გოგიტაძე, ზაზა ბაკურაძე, ზაზა ცქიფურიშვილი, მალხაზ ჭინჭარაული, შალვა ბერაია და გივი ქველაძე.

# გურულები იმერეთში

ზესტაფონის „მარგვეთმა", რომელმაც ჩემპიონატის განახლებისთვის თბილისში ემზადება, რამდენიმე მოთამაშე დაიმატა. უკვე გადაწყვეტილია „გურიიდან" მამუკა ბუცურეიშვილისა და მერაბ თევზაძის დამატება, გუნდთან ვარჯიშობს სამტრედიელთა კაპიტანი გელა ფანჩულიძეც, რომლის საქმეც დღედღეზე გადაწყდება.

**ბავშვთა კვება**

**Gerber**

**ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი**

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

ჩვენს ფეხბურთში სიურპრიზები ვილას გააკვირვებს, მაგრამ ის, რაც ხაშურელთა მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ლაცაბიძემ მითხრა, მართლაც დაუჯერებელი მეჩვენა — მუდმივ აუტსაიდერ „ივერიას" მომდევნო ჩემპიონატში ხუთეულში მოხვედრა განუზრახავს. არადა, ევროპას და ხუთეულს ვინ ჩივის, 12-ქულიანი „ივერია" იმ ბოლო სამეულის წევრია, რომელსაც ჯგუფიდან გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრება. აი სწორედ ჯერ ეს ამბავია მოსაგვარებელი და შემდეგ ღმერთმა უწყის, რა მოხდება.

ამჟამად ხაშურელები თბილისში ემზადებიან მეორე წრისთვის და მალხაზ ლაცაბიძეც აქ მოვიხელთეთ.

# იმედიელებს მაჩანჩალობა მობეზრებიათ

— პირველი წრის შემდეგ მდგომარეობა კატასტროფულია, თუმცა არა უიმედო. კლუბს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ხაშურის ერთ-ერთი ბანკის მმართველი ნუკრი სახვაძე, რომლის დიდი იმედი გვაქვს. ახლა მზადების ბოლო ეტაპზე ვართ, დარბაზში ფიზიკაზე ვმუშაობთ, მოედანზე კი ბურთით ვივარჯიშებთ. მუშაობაში დიდად მეხმარება მეორე მწვრთნელი თენგიზ ოსაძე.

**— რა ცვლილებებია გუნდში?**

— დავიმატეთ 20 წლის მეკარე ლევან აბაშიძე, რომელიც შარშან „გურიაში" თამაშობდა და ტრავმის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა. რუსეთიდან ჩამოვიდა მოსიკაშვილი, რომელიც სამიოდე წლის წინ „ალაზანში" თამაშობდა. ძალიან სასიხარულოა ის ამბავი, რომ „ივერიაში" დარჩა ჰამლეტ წივწივაძეც, რომელსაც რამდენიმე გუნდი უხმობდა. მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და მის დარჩენაში, ვფიქრობ, ამანაც დიდი როლი ითამაშა. ამათ გარდა ვსინჯავთ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდას. საქმე ისე შემობრუნდა, რომ აღარც ვიცი ვინ გავუშვა გუნდიდან.

**— როგორ, უკვე არჩევანის საშუალება გაქვთ?**

— დამიჯერებთ? პირველი წრის მერე ეს რომ მეთქვა, დარწმუნებული ვარ, გაეცინებოდათ. ახლა კი მართლაც ვირჩევ, ვინ გავუშვა და ვინ დავტოვო. მართლაც სასურველ ვითარებაში აღმოვჩნდით.

**— მართალია, მიხეილ კალმახელიძე „დინამოში" გადადისო?**

— მიშამ „ივერიიდან" წასვლის სურვილი გამოთქვა, მერე, ვიცი, „დინამოში" ვარჯიშობდა კიდეც, მაგრამ დარჩება თუ არა, ან რომელ გუნდში გადავა, ამას ვერ გეტყვით.

**— წივწივაძის დარჩენა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გუნდის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა, „კოლხეთის", „მერანის", „შევარდენისა" და „ტორპედოს" მოწვევებზე უარს არ იტყოდა — ამ კლუბებს ხომ თქვენზე უკეთესი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდათ...**

— დასამალი არაფერია — პირველი წრისგან განსხვავებით ფინანსური მდგომარეობა უკეთესი გვაქვს. რაიონის ხელმძღვანელობა ფეხბურთისკენ შემობრუნდა, გამგებელმა გივი ხველელიძემ და მისმა მოადგილემ რეზო მესხმა ხაშურის ერთ-ერთი ბანკის მმართველი ნუკრი სახვაძეს სთხოვეს, გუნდს მიხედეო. „ივერიაში" 1984 წლიდან ვთამაშობდი და ასეთი სასურველი ვითარება არ მახსოვს. დიდიან-პატარიანად ყველა გვეხმარება. წელს ჯგუფში დარჩენა უნდა მოვახერხოთ, მერე კი სულ სხვა მიზნები გვექნება. ხელმძღვანელობას სურს, რომ მომავალ ჩემპიონატში მაღალი ადგილი დავიკავოთ.

**— მაშ, „ივერია" ევროპას უმიზნებს?**

— სასურველი იქნებოდა. ფაქტია, რომ ახალი პრეზიდენტის სურვილი მაღალი ადგილების დაკავებაა.

**— მაღალი ადგილი თავისთავად ევროტურნირში თამაშსაც უნდა გულისხმობდეს...**

— პირველ ხუთეულზეა ლაპარაკი. ეს სურვილი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ეროვნულ ჩემპიონატებში „ივერია" მუდამ მაჩანჩალას როლშია. ეს კი ხელმძღვანელობას აღარ სურს. თუ გუნდი მაღალი ადგილებისთვის არ იბრძვის, ის გუნდი არ არის. იმედია, ამის შემდეგ დარჩენა-არდარჩენის პრობლემა აღარ შეგვაწუხებს.

**— საამისოდ მხოლოდ ხაშურელი ფეხბურთელებით აპირებთ ფონს გასვლას თუ მოთამაშეთა მოწვევაც განგიზრახავთ?**

— ხელმძღვანელობის სურვილია, რომ ახალი სეზონიდან, უფრო სწორად, მაისიდანვე, როდესაც ეს ჩემპიონატი დასრულდება, ახალი გუნდის ჩამოყალიბება დავიწყოთ. დაახლოებით ხუთი ძლიერი მოთამაშე მაინც უნდა დავიმატოთ, ჩვენთვის სასურველი გუნდის შექმნა თუ გვსურს, ხელმძღვანელობა ამაში დახმარებას გვპირდება.

**— რეალურია კი ეს ყოველივე? ახალი ცოცხი კარგად გვისო, ნათქვამია, მერე კი, რამდენი მაგალითი ვიცით, იმედი იმედგაცრუებით იცვლება...**

— დამიჯერეთ, ჩვენი კლუბის ახალმა პრეზიდენტმა მართლაც დიდი მიზნები დაისახა. ძველი პრობლემები, თუნდაც ის, რომ ვარჯიშის ჩატარებას ვერ ვახერხებდით, აღარ გვაწუხებს. კვების პრობლემაც მოგვიგვარდა. გამგებელმა თქვა, კმარა ის საშინელება, რაც აქამდე გვაწუხებდა, ახლა გუნდის შექმნაზე უნდა ვიზრუნოთო.

**— ზრუნვა, ბუნებრივია, კარგია, მაგრამ ამისთვის საჭირო თანხა თუ გაგაჩნიათ?**

— მე ფინანსურ საქმიანობაში ნაკლებად ვერკვევი, თუმცა კი ვიცი, რომ საჭირო თანხა მოიძებნება. მე პასუხისმგებელი ვარ ჩემს სიტყვებზე — სეზონის ბოლომდე პრობლემები აღარ შეგვაწუხებს. ახალი სეზონიდან კი, ვიმეორებ, „ივერია" საგრძნობლად გაძლიერდება.

**— გუნდი ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება?**

— „ივერიას" მთლიანად ქალაქის ბიუჯეტიდან გამოეყოფა საჭირო თანხა.

**— თანხა თუ მოიძებნა, ალბათ სტადიონის და ბაზის მოწესრიგებაზეც იზრუნებდით...**

— სხვათა შორის, ხაშურში ურიგო სტადიონი არ არის. უბრალოდ, მოედანს მოწესრიგება სჭირდება. ჩემთვის, უპირველესად, ბაზის პრობლემაა აქტუალური. ყველა მწვთრენელი ხომ ნორმალური ბაზის არქონას უჩივის. ეს დიდი პრობლემაა, რომელიც მოგვარების შემთხვევაში დიდ შეღავათს მოგვცემს. საამისოდ ყველაზე სასურველი ადგილი ქვიშხეთში მეგულება და მალე ნორმალური ბაზა იქ გვექნება. სხვათა შორის, ხაშურის სტადიონის მოედანიც ჩემპიონატამდე ნორმალურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ, იქ ხშირად ვვარჯიშობდით და ამან ბალახის საფარი გააფუჭა. მოკლედ, საფიქრალი და სამუშაო მომიმრავლდა.

მართალია, „ფეროსავით" გერმანულში ჯერ არ ვეზადები, მაგრამ მეც მსურს სერიოზულად ვიმუშაო ჩემ თავზე. თუ არ ვისწავლი, ისევ ჩემს თავს დავაკლებ. არადა, უნდა შევძლო — თეორიული ცოდნა პრაქტიკოსი მწვთრნელისთვის აუცილებელია. მით უმეტეს იმ მწვრთნელისთვის, რომელსაც, ჩემსავით, ხუთეულში მოხვედრა განუზრახავს.

**მერაბ გამულაშვილი**

# გოგოლაძე ძალიან მოდაშია

ესენგეს თასსა და თურქმენბაშის ტურნირზე აშხაბადის „კოპეტდაღის" ქართველი თავდამსხმელის კახა გოგოლაძის კარგმა თამაშმა რუსეთის უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდის მწვრთნელს მისი ხელში ჩაგდების სურვილი გაუჩინა. ეს თავად კახამაც თქვა ჩვენთან საუბრისას, თუმცა არ დაუზუსტებია, კონკრეტულად რომელ გუნდებს გულისხმობდა. ჩვენ კი სხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ეს რუსული გუნდები მოსკოვის „დინამო" და სამარის „კრილია სოვეტოვი" ყოფილან.

# ბერძნების სიტყვას ენდნენ

მარგველები მამუკა უკლება და გენადი ლანჩავა საბერძნეთში იყვნენ წასულნი კლუბის საძებნად. ახლახან ორივე შინ დაბრუნდა. უკლება უკვე ვარჯიშობს კიდეც „მარგვეთთან". მისი თქმით, სალონიკის „არისის" ხელმძღვანელობას ის და ლანჩავა შესთანხმებიან, რომ მაისის ბოლოს, საბერძნეთის ჩემპიონატის დამთავრებისას, კვლავ ჩავლენ ელადას. „ჩასვლის მიზანი ის იქნება, რომ ოფიციალურად გავაფორმოთ სიტყვიერი შეთანხმება ჩემი და ლანჩავას „არისში" გადასვლის თაობაზე" — თქვა უკლებამ.

# შუა აზიის პარიზი

**გნებავთ, გაიცინეთ, გნებავთ, დამიჯერეთ — ადრე იქნება თუ გვიან, აშხაბადი ცენტრალურ აზიაში ისეთსავე როლს შეასრულებს, როგორსაც დღეს ევროპაში პარიზი ასრულებს. მალე თურქმენეთის აზიურობას აქა-იქ წამომართული მეჩეთებითღა თუ მივხვდებით.**

### ქვეყანა

საბჭოურ პერიოდში თურქმენეთი თხუთმეტ რესპუბლიკას შორის ყველაზე ჩამორჩენილი იყო, ქვეყანაში 90 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს მოიპოვებდნენ ყოველწლიურად, მაგრამ ყოველ ათას კუბურში 70 დოლარის ნაცვლად 70 კაპიკს აძლევდნენ და ქვეყანაც სულს ღაფავდა. ბავშვთა სიკვდილიანობა და ათასი სხვა ავადმყოფობა თურქმენებს სისხლს უშრობდა. მოსკოვი კი უმცროს ძმას თავისი სიმდიდრიდან ორიოდ კაპიკს გადმოუგდებდა. იმასაც ამადლიდა.

არადა, ოთხნახევარმილიონიანი თურქმენეთის 488 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიიდან, არც მეტი, არც ნაკლები, 80 პროცენტი გაზით და ნავთობითაა გაძეძგილი!

### თურქმენბაში

თურქმენეთის მომავალი მამა და მარჩენალი საფარმურატ ნიაზოვი 1940 წლის 19 თებერვალს დაიბადა. სამი წლისა იყო, მამამისი ატამურატი ომში რომ დაიღუპა. რვა წლისას საშინელი ტრაგედია შეემთხვა: ათბალიანმა მიწისძვრამ აშხაბადი მიწასთან გაასწორა. საფარმურატი კი გადარჩა, მაგრამ მისი სახლი ნანგრევებად იქცა და იმ დღეს პატარა ბიჭმა დედა გურბანსოლთან-ეჯე და ორი უფროსი ძმა დაჰკარგა. ობოლი საფარმურატი ბაბუამ შეიკედლა მიყრუებულ აულში, სადაც მომავალი პრეზიდენტი სკოლა-ინტერნატში სწავლობდა.

პრეზიდენტს ის მიწისძვრა მოსვენებას არ აძლევს, ამიტომაც გადაწყვიტა, აშხაბადი ფენიქსივით აღადგინოს და მართლაც, დღედაღამ მუშაობენ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, იუგოსლავი, თურქი ინჟინრები და საშუალოდ თვეში ერთხელ აშხაბადს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, მეჩეთი, ანაც რაიმე სასახლე ემატება.

პრეზიდენტს არც მშობლები და ახლობლები დავიწყებია და ყველას ძეგლი აუგო, საღამოობით კი, როდესაც ქუჩებში ხალვათობაა, პრეზიდენტი თავად მიუჯდება ხოლმე საჭეს და განახლებული ქალაქის ცქერით თავის ბავშვობისდროინდელ ჭიას იხარებს.

აბა, რა გასაკვირია, რომ ნიაზოვი სიცოცხლეშივე გმირად შერაცხეს და თურქმენბაში (ჩვენებურად ერისთავი) უწოდეს. ფეხბურთის ტურნირსაც მისი დაბადების დღის აღსანიშნავად აწყობენ...

ისე, მეჩეთის გარდა, ნიაზოვს გადაწყვეტილი აქვს აშხაბადში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ტაძარიც ააგოს. საფუძველი უკვე ჩაუყრიათ.

### საგარეო საქმეთა მინისტრი

...დილას ექვს საათზე ვდგებოდი, რათა აზერბაიჯანელ მეჯიხურეს ჯიხურთან დავხვედროდი და ყოველკვირეული „ფუტბოლი" ჩამეგდო ხელში. აშხაბადში სულ სამად-სამი ცალი მოდიოდა მოსკოვიდან. მამედა გადარეული იყო, წადი, ბიჭო, დაიძინე, შენ უგაზეთოდ როგორ დაგტოვებო, მაგრამ ჩვეულებას მაინც ვერ მალალატებინა და მას მერე ყველა ნომერი შენახული მაქვს...

...ცოტა რომ წამოვიზარდე, მამაჩემი დილის ექვს საათზე მაღვიძებდა და „ფუტბოლზე" მაგზავნიდა. არცერთ ნომერს არ ტოვებდა წაუკითხავს...

ორივე მონოლოგი ბორის შიხმურადოვს ეკუთვნის, ოღონდ პირველი ქვეყნის საგარეო-საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, მეორე კი მისი შვილი, „კოპეტდაღის" პრეზიდენტი.

უფროსი შიხმურადოვი ფეხბურთს საგარეო საქმეებზე ნაკლებ დროს არ უთმობს. თავადაც თამაშობდა ახალგაზრდობაში, მაგრამ ფეხი მოსტეხია და ცუდად შეხორცებია. ახლა ყველაფერს აკეთებს ფეხბურთის მოსაღონიერებლად. თურქულ ფირმა „მენსელთან" კონტრაქტი დადო და წლეულსვე, სექტემბერში, აშხაბადს 30-ათასიანი სუპერთანამედროვე გადახურული სტადიონი ექნება. მშენებლობის ტემპს რომ დავაკვირდი, ვინძლო, უფრო ადრეც დაამთავრონ.

შიხმურადოვები უზომოდ მადლიერნი არიან გუგუშვილისა და ყველანაირად ხელს უწყობენ მას. ფინალის შემდეგ შიხმურადოვმა მეც და ჩემი კოლეგებიც პრეზიდენტის პორტრეტიანი სამახსოვრო ჭედურობით დაგვაჯილდოვა. ის კი არა, როცა თურქმენ ჟურნალისტებს მინი-ფეხბურთში 6:3 მოვუგეთ და „დინამოს" ჯავრი ამოვიყარეთ, მსაჯს უსაყვედურა, ქართველებს რატომ ემხრობოდიო — ჟურნალისტთა წარუმატებლობაც კი მტკივნეულად განიცადა.

### ელჩი

ჩვენი ელჩი თურქმენეთში ჰენრი პატარაია მართლაც ხიდივითაა გადებული ამ ორ ქვეყანას შორის და პრეზიდენტი ნიაზოვიც და საგარეო საქმეთა მინისტრი შიხმურადოვიც დიდ პატივს სცემენ. ელჩი თავს გვევლებოდა „დინამოსაც" და ჟურნალისტებსაც, ოფიციალური შეხვედრებიც მოგვიწყო. მადლობა ამისთვის ბატონ ჰენრის და იქ მცხოვრებ ქართველებს ლევან სანთელაძეს, ნოდარ გუჯარაიძეს და კახა ნინუას.

### მედია

პირველი სპორტული თურქმენული გაზეთი „სპორტენ თურქმენისტან" პირადად თურქმენბაშის თაოსნობით გამოვიდა ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს. ქართველი, უკრაინელი და რუსი ჟურნალისტები ერთავად ყურადღების ცენტრში ვიყავით და თორმეტი დღე აშხაბადში პრობლემა რაა, არ გვინახავს — არც ყოფითი, არც პროფესიული. უამრავ ექსკურსიებზე და ნადიმებზე არას ვამბობ. შიხმურადოვმა პირადად მოგვამაგრა თავისი თანამშრომელი — ბაიგელდი გელენოვი, კერძო მიკროავტობუსიც გამოგვიყო. პრეზიდენტის სახელობით პრიზებზე კი ზემოთაც გითხარით...

### ჯემალ ბეი



ელგუჯა გუგუშვილისთვის, ქართველებს რომ გეჩვევია, თავის დროზე პასპორტში ჯემალი ჩაუწერიათ და თურქმენებიც მათთვის უფრო გასაგები სახელით — ჯემალით მოიხსენებენ.

პროფესორი გუგუშვილი თურქმენეთში ექვსი-შვიდი თვის წინ წავიდა ჩვენი ელჩის ჰენრი პატარაიას რეკომენდაციით და ისეთივე როლი შეასრულა ამ ქვეყნის ფეხბურთში, როგორიც გაზმა — თურქმენეთის ეკონომიკაში. გუგუშვილამდე თურქმენეთის ნაკრებს ჩასაცმელი ფორმა არ ჰქონდა და ხაშურის „ჯვერიისა" და გორის „დილასი" არ იყოს, ექვსი ბურთი ჰქონდა, ნაკრების წევრები კი აღმოსავლურ სიამტკბილობას მისძალებოდნენ...

— ფეხბურთელების შემოწმების შემდეგ თმები ლამის ყალყზე დამიდგა, ექვსი ნარკომანი აღმოვაჩინე ნაკრებში და მყის დავითხოვე. დღე-დღეზე ირანის ნაკრებთან უნდა გვეთამაშა თეირანში. გაძლიერებული მზადება დავიწყე, ისეთი დატვირთვები მივეცი, მანამდე რომ არ ენახათ. ცხრა ფეხბურთელმა ჩემს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა განიზრახა, მაგრამ ცხრავეს ნაკრები დავატოვებინე. მოკლედ, ირანს, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით გავემგზავრე. ვიცოდი, ჩემს ბედს სასწორზე ვაგდებდი, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორ ნაბიჯს ვდგამდი. მართლაც, სიმართლემ გაიმარჯვა და თეირანიდან მოგებულები დავბრუნდით. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ჩვენმა მოგებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, კიდევ უფრო გამიმყარა პოზიცია და გუნდის ექიმიც გავანთავისუფლე, რომელიც ფეხბურთელთა მიერ რეჟიმის დარღვევებს მიმალავდა.

ჩემს მიერ გატარებულ პოლიტიკას სწორი ანალიზი გაუკეთა თურქმენეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის შიხმურადოვმა და ყველანაირად მხარში ამომიდგა. იანვარში ნაკრები ბელარუსში წავიყვანე შეკრებაზე. სწორად შერჩეული რეჟიმის შემდეგ 30-გრადუსიანი თურქმენული სიცხიდან ლამის 20-გრადუსიან ბელარუსულ ყინვაში დღეში ოთხჯერ ვავარჯიშებდი ბიჭებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, სურდოც არავის შეყრია. ამის შემდეგ ჩავედით მოსკოვში. „კოპეტდაღის" წარმატებული გამოსვლის მომსწრე თავადაც ბრძანდებოდით. გუნდს „კოპეტდაღი" ისევ ერქვა ფორმალურად, როგორც მთავარ მწვრთნელად ტაჩმურად ალამურადოვი ჰყავდა. „სპარტაკთან" როგორ არ მოგვაგებინეს, ესაც თავად ნახეთ.

თურქმენეთში აღფრთოვანებულები შეგვხვდნენ, ყველამ დაინახა, რომ ფეხბურთელები პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. თავად მოთამაშეებმაც იგრძნეს ეს — მატერიალურად აქამდე არნახულად წავახალისეთ. ყოველივე ამის შემდეგ თურქმენეთის გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად დამასახელეს.

**— საფრანგეთის გზაზე რა წინააღმდეგობები გელით?**

— ჩვენს ქვეჯგუფში ჩინეთის, ვიეტნამისა და ტაჯიკეთის გუნდები არიან. პირველ სამ შეხვედრას შინ ვთამაშობთ — 4 მაისს ჩინეთთან, 14 მაისს — ტაჯიკეთთან და 21 მაისს ვიეტნამთან. ამის შემდეგ 28 მაისს ჩინეთში, 6 ივნისს ტაჯიკეთში, ხოლო 14 ივნისს ვიეტნამში გავლივართ. მანამდე ამხანაგური მატჩები გვაქვს: 1 მარტს ინდოეთთან დელიში, 2 აპრილს ბულგარეთთან სოფიაში და 23 აპრილს ბაქოში აზერბაიჯანთან.

**— ტყავაძე საქართველოშიც ძლიერ ფეხბურთელად ითვლებოდა, კახა გოგოლაძეს კი შედარებით ნაკლებად იცნობდნენ. რას გვეტყოდით მათზე?**

— განსხვავებული სტილის ფეხბურთელები არიან — ტყავაძე კომბინაციური ყაიდის მოთამაშეა, გოგოლაძე კი დამაგვირგვინებელ ფაზაშია ძლიერი. რომ არა ტრავმები, ტყავაძე დიდ ფეხბურთს ითამაშებდა. რაც შეეხება კახას პროგრესს, იგი შემდგომაც გაიზრდება, როგორც მოთამაშე, თუ უფრო მეტად მომთხოვნი იქნება საკუთარი თავის მიმართ. ბელარუსში გოგოლაძე საგანგებო საწვრთნელ რეჟიმში მყავდა: დღეში 16-17 კილომეტრის გარბენა, საერთო ჯამში 4-5 ტონა ტვირთის აწევა და სავარჯიშო იარაღებთან 64-ჯერ მისვლა უხდებოდა. ამას გარდა საათნახევარი ბურთიანი ვარჯიშებიც ჰქონდა. ამ ვარჯიშების შემდეგ კახამ ძალზე მოუმატა ფიზიკაშიც და სისწრაფეშიც.

**— აქ რამდენ ხანს დარჩებით?**

— თუკი ჩვენს ქვეჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ, მეორე დღესვე გამოვემგზავრები თბილისში და საქართველოს სტუდენტთა ნაკრებს ჩავუდგები სათავეში, რომელიც მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადება, 12 აგვისტოს რომ უნდა დაიწყოს იტალიაში. ამის შემდეგ, სექტემბერში, ისევ თურქმენეთს დავუბრუნდები და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ.

**— თუ ჯგუფში პირველი ადგილი ვერ დაიკავეთ, მაშინ?**

— შიხმურადოვი ძალიან მენდობა და მთხოვა, კონტრაქტი გავაგრძელოთო. განზრახული მაქვს, თურქმენეთში შევქმნა მძლავრი საფეხბურთო მეურნეობა, საამისო პროექტიც მზად მაქვს, შიხმურადოვიც მხარს მიჭერს. ჩემი პროექტს მალე ფიფაში გავაგზავნით. ფიფა თურქმენეთის მსგავს ქვეყნებს დიდ ფულად დახმარებას უწევს და რამდენადაც ვიცი, 1 მილიონ დოლარს გამოგვირიცხავს ამ პროექტის განსახორციელებლად. ასე რომ, კონტრაქტი თურქმენულ ფედერაციასთან ალბათ კიდევ რამდენიმე წლით გაგრძელდება.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენი „დინამოს" სამარცხვინო გამოსვლას რითი ახსნით?**

— „დინამოს" მარცხის უმთავრეს, თითქმის 100-პროცენტიან მიზეზად ყიფიანის არყოფნა მიმაჩნია. ამის გამო იყო, რომ ფეხბურთელები არასერიოზულად მიუდგნენ ტურნირს და დაისაჯნენ.

**— ყიფიანი რომ ყოფილიყო, რადიკალურად განსხვავებულ „დინამოს" ვიხილავდით?**

— რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, როდესაც მთავარი მწვრთნელი ახლავს გუნდს, ფეხბურთელები ჩვეულებისამებრ ვარჯიშობენ და ყველამ თავისი საქმე იცის, საწვრთნელი პროცესი არ ირღვევა. მეორეც, ყიფიანი ახლახან ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, ეს კი ახალგაზრდა დინამოელებისთვის დამატებითი სტიმული იქნებოდა — თავის გამოჩენის შემთხვევაში ნაკრებში მოხვედრის მეტი შანსი აქვთ. მესამე — მთავარი მწვრთნელის რიდით ფეხბურთელი რეჟიმის დარღვევას ვერ გაბედავს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი ეს ყველაფერი.

**— თქვენი ინსტიტუტი, ლექციები და სამეცნიერო სამუშაო არ გენატრებათ?**

— მე აქ ლექციებსაც ვკითხულობ და მეცნიერულ გამოკვლევებსაც ვატარებ. ამ მხრივაც წესრიგში მაქვს საქმე.

**— თქვენი ოცდახუთწლიანი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე 45 სპორტული ჯილდო მოგიპოვებიათ. „თურქმენბაშის თასის" მოგება 46-ე იყო. გჯერათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში გაიმარჯვებთ და მოგებათა ნუსხას 47-მდე აიყვანთ?**

— სასწაულმოქმედი არა ვარ, მაგრამ შრომა არასდროს დამზარებია. გარჯა კი ყოველთვის გიფასდება კაცს. სასწაულმოქმედი რომ ვიყო, სხვაგან ვიქნებოდი და არა თურქმენეთში...

### საით, დემე?

მოსკოვისა და აშხაბადის ტურნირები დემეტრაძის ბენეფისად უნდა ქცეულიყო, რაკილა ამ ნიჭიერ ბიჭს თავის სრულად გამოჩენის საშუალება მიეცა, მაგრამ მოსკოვის პირველ მატჩებში მართლაც ზღაპრულად მოთამაშე დემემ ტურნირის ბოლოს უკლო, აშხაბადში კი ერთი გაიფაფხურა და საერთოდ ჩამოყარა ყურები. მერე თავიც წამოსტკივდა და „ვორსკლასთან" არც უთამაშია. მოკლედ, სხვა დინამოელებთან ერთად დემეც შერცხვენილი დაბრუნდა თბილისში. ძალზე მაინტერესებდა დემეტრაძის ასეთი სახეცვლილება და თვითმფრინავში გვერდით მივუჯექი. რაზე აღარ ვისაუბრეთ, მაგრამ ძირითადი აქცენტი, ბუნებრივია, „დინამოს" მარცხზე და პირადად მის სუსტ თამაშზე კეთდებოდა.

— რა მომივიდა, ვერ გამიგია, ასე სუსტად არასოდეს მითამაშია, თანაც არც თამაშის ხალისი მქონდა. ალბათ იმის ბრალია, რომ ვიცოდი, სუსტი გუნდები იქნებოდნენ და თავიდანვე ვერ განვეწყვე სერიოზული ბრძოლისთვის.

**— პირველი მატჩი შენც და „დინამომაც" სამარცხვინოდ ითამაშეთ...**

— არ გვეგონა, თუ ასეთ ძლიერ წინააღმდეგობას წავაწყდებოდით და უცებ დავიბენით, მოვიშალეთ და ველარ გადავეწყვეთ. თანაც ძალზე ცუდი მინდორი იყო. ჩემი კოზირი ხომ იცი, „პადსებიათი" მცველები ლამის ტრიბუნაზე ამყავს ხოლმე, აშხაბადის მინდვრებზე კი არაფერი გამომივიდა. მთავარი კი ისაა, რომ მთელი გუნდი ჩემსავით იყო, ვერ განეწყო საბრძოლველად.

**— შენ მეტად იმედისმომცემი მოთამაშე ხარ, მაგრამ ერთს გეტყვი: თუ ასე გააგრძელე, მთელი ცხოვრება ნიჭიერ და იმედისმომცემ ფეხბურთელად დარჩები. აღარ არის დრო, პროფესიულად მოეკიდო საქმეს?**

— დროა. ჩემდა სამწუხაროდ, აღმოვაჩინე, რომ პროფესიონალი არა ვარ. ეს კარგი გაკვეთილია ჩემთვის...

**— თბილისში რომ ჩახვალ, პირველად რას გააკეთებ?**

— ჩვენს პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას ვთხოვ, უცხოეთში გამიშვას.

**— ?!**

— ალალად გეუბნები. ჩავალ თუ არა, ძალიან ვთხოვ ჟორდანიას, ეგებ რაიმე კლუბი გამომიძებნოს საზღვარგარეთ.

**— შენ რა, გგონია, რომ „დინამოში" და საქართველოში უკვე ყველაფერი გააკეთე?**

— არა, არ მგონია ასე, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა და ამის ბრალიც არის, ასე სამარცხვინოდ რომ გამოვედით აშხაბადში. მე კი მინდა, პროფესიონალი გავხდე, ასეთად კი საქართველოში ვერ ჩამოვყალიბდები.

**— შენი [illegible] იაშვილის წასვლამაც ხომ არ განაპირობა?**

— ნაწილობრივ ასეც არის. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაშკა დიდი ძმაკაცები ვართ, ახლა თავს როგორღაც მარტო ვგრძნობ. მინდორზეც და მის გარეთაც.

**— ვთქვათ და, გაგიშვა ჟორდანიამ. სად ისურვებ წასვლას?**

— დასაწყისისთვის ალბათ რუსეთში. ვთვლი, რომ რუსეთი ტრამპლინისთვის გამომადგება. თანაც იქ შეიძლება ოსტატობაც დახვეწო.

**— ჩვენში მეტად აღარ გაიზრდები?**

— მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ უცხოეთში რომ უფრო სწრაფად გაიზრდები, ფაქტია.

**— ისევ აშხაბადს დავუბრუნდეთ. მაინც რითი გაჯობეს მეტოქეებმა?**

— ბრძოლით და განწყობით.

**— ნუთუ „დინამოს" მაისური არაფერს გავალებდათ?**

— ეეჰ, როგორ არ გვავალებდა, მაგრამ როცა გული არ მიგდის, გინდა „დინამოს" მაისური გცმია, გინდ — „მილანისა". ისე, ერთსაც ვიტყვი და ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ როცა გადაწყდა, რომ ყიფიანი არ ჩამოვიდოდა, ერთადერთი ადამიანი, ვისაც პირადად ჩემზე შეეძლო დადებითი გავლენა მოეხდინა და საბრძოლველად განვეწყვე, ბესო კირვალიძე იყო. იმან იცის ჩემი სუსტი და ძლიერი წერტილები და, ვფიქრობ, მიშველიდა.

**— უბანში რა პირით გამოჩნდები?**

— ვიცი, ძმაკაცები დამინახავენ თუ არა, სასაცილოდ ამიგდებენ, ყაზახებთან წააგეთო. იმათ შაყირს რა გაუძლებს...

**— ჟორდანია და ყიფიანი, მე მგონი, გაშვებაზე უარს გეტყვიან.**

— მეც ვგრძნობ, ასე იქნება და მეც მთელი სერიოზულობით მივუდგები ჩვენი ჩემპიონატისთვის მზადებას.

**— პენალტებს კიდევ დაარტყამ?**

— „ნურავშონთან" ბოლო მატჩში, მართალი გითხრა, აღარ მინდოდა მატჩისშემდგომი პენალტის დარტყმა. მადლობა ღმერთს, არც მომიწია. ალბათ ისევ გავაგრძელებ ვარჯიშს პენალტების დასახვეწად. ბოლოს და ბოლოს, ვის არ აუცილებია.

**— „ატყასთან" მაჯმა პენალტი რომ გაგამეორებინა, მაშინ რა დაგემართა?**

— ავჩქარდი, თანაც ვიგრძენი, მეკარე მიხვდა, ისევ იმ კუთხეში რომ ვარტყამდი. მოკლედ, ავჩქარდი და დავიბენი.

**— წარუმატებლობის მიუხედავად, რომელიმე დინამოელს თუ გამოჰყოფდი?**

— ცქიტიშვილს, ყიზილაშვილს და გოგიჩაიშვილს.

**— როგორ გგონია, შენი შესაძლებლობების რამდენი პროცენტი გამოამჟღავნე?**

— ვფიქრობ, 20-30.

**— მოკლედ, მარცხმა ჭკუა გასწავლა თუ ისევ ცხვირაწეული გამოხვალ სუსტ მეტოქესთან?**

— არა, ცხვირს აღარავისთან ავწევ. ყველა მატჩისთვის სერიოზულად მოვემზადები, მაგრამ შეგვხვდება ისევ ერთი, მეორე, მესამე სუსტი მოწინააღმდეგე ჩვენს ჩემპიონატში და ალბათ ისევ გამიჭირდება.

ისე, აშხაბადი მართლაც კარგი გაკვეთილი იყო. რა გვექნეს, ჰა?

**მამუკა კვარაცხელია**
**აშხაბადი — თბილისი**

# ომარს შეეშალა

## იტალია

XXI ტური

**ინტერი 2:0 ატალანტა**
1:0 ჯორკაეფი (67), 2:0 სამორანო (90)

**ფიორენტინა 1:1 იუვენტუსი**
0:1 დელ პიერო (16), 1:1 რობიატი (49)

**პარმა 2:0 ლაციო**
1:0 სტანიჩი (3), 2:0 კიეზა (26)

**პერუჯა 1:0 მილანი**
1:0 ნერი (18)

**ვიჩენცა 1:1 პიაჩენცა**
0:1 პიოვანი (4), 1:1 ბეგეტო (14)

**ნაპოლი 1:1 სამპდორია**
1:0 ბოლოხიანი (57), 1:1 მიხაილოვიჩი (88)

**რომა 2:2 რეჯანა**
1:0 მორიერო (3), 2:0 ტოტი (9), 2:1 სიმუტენკოვი (65), 2:2 თეთრაძე (საკ. კარში 90)

**ბოლონია 0:0 უდინეზე**

**კალიარი 3:2 ვერონა**
0:1 ბერეტა (საკ. კარში 22), 1:1 მინოტი (25), 2:1 მუცი (75), 3:1 ტოვალიერი (83 პ), 3:2 დე ვიტისი (86)



AP მიღებული

ინტერი — ატალანტა. სეზონის საუკეთესო გოლეადორი ფილიპო ინძაგი ფრანგ ანგლომასთან ბრძოლაში

ცნობილი ამბავია — ფლორენციელებს „იუვენტუსი" სძულთ. იყო ასეთი შემთხვევა, „ფიორენტინას" ქომაგმა ფრანკო ძეფირელიმ ერთ-ერთ ინტერვიუში საშინლად გალანძღა „ბებერი ქალბატონი" და თან ისიც თქვა, ეგ გუნდი სულ მსაჯების დახმარებით იგებს ხოლმეო. პასუხად „იუვენტუსის" შეფებმა ძეფირელის სასამართლოში უჩივლეს. ეს საქმე როგორღაც ჩაიფარცხა, მაგრამ ნიშანდობლივია, თუკი ისეთი კაცი, როგორიც საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორი ფრანკო ძეფირელია (გაიხსენეთ სახარების მისეული, ექვსსაათიანი ეკრანიზაცია, ანაც „ტრავიატა"), ტურინელთა მიმართ ზიზღს ვერ მალავს, ვილაც ფლორენციელი გიჟუა რაღას იზამს.

სასტუმროდან სტადიონისკენ გამგზავრებული „იუვეს" ავტობუსი სარბიელთან ოთხით ნაკლები ფანჯრით მივიდა, ხოლო მინის ერთმა ნამსხვრევმა გუნდის შემადგენლობაში ცვლილება მოახდინა — ანჯელო პერუცის ნაცვლად მიქელანჯელო რამპულამ დაიცვა ლიდერთა კარი. დაკა-დაკა ტრიბუნებზეც გაიმართა. ცხადია მოჩხუბართ თავპირი დაეჟეჟათ, მაგრამ ზედაც ათმა პოლიციელმა იწვნია მძიმე საგნების მოხვედრით გამოწვეული ტკივილი.

მე-16 წუთზე ვლადიმერ იუგოვიჩმა მარცხენა ფრთიდან შორეული ძელისკენ ერთობ დახვეწილი პასი ჩააწოდა, იქ კი ალესანდრო დელ პიერომ თავური დაჰკრა და „არტემიო ფრანკის" სტადიონზე თავშეყრილ, ახალნაჩხუბარ მასპინძლებს ცოტათი დაუცხრო ვნებები. შეხვედრამ ორმხრივ შეტევებში ჩაიარა, მეტად დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. ბედმაც არ ისურვა რომელიმე მეტოქის დაჩაგვრა. მეორე ნახევრის მეოთხე წუთზე ოსტატური კომბინაციის შედეგად ანსელმო რობიატიმ ქსელები გაჰყო. იყო ერთი გაძევებაც: 56-ეზე ფლორენციელ მცველს დანიელე კარნაშალის დაატოვებინეს მოედანი.

რაკიდა სიტყვამ გაძევება მოიტანა: იმ სტადიონზე, სადაც საქართველოს ნაკრებმა ამ ხუთი თვის წინ „სკუადრა აძურასთან" წააგო, „მილანი" „პერუჯასთან" დამარცხდა, თანაც თამაში ცხრა ფეხბურთელით დაასრულა. მოედნიდან გააგდეს პაოლო მალდინი და კრისტოფ დუგარი (მარკო მატერაცისა და სალვატორე მატრეკანოსთან ძიძგილაობისთვის), ედგარ დავიდსმა კი მასპინძელთა მეკარე ლუკა ბუჩისთან შეჯახებისას მარჯვენა ფეხზე ორ ადგილას გაიტეხა ძვალი. ეს სისხლიანი დრამა მე-18 წუთზე პერუჯელი მარკო ნერის მიერ გატანილმა გოლმა პროვინციელთა გამარჯვებით დაასრულა. საბრალო არიგო საკიმ მოგვიანებით თამაშში რობერტო ბაჯოც ჩართო და წინა დღეს ლიბერიელთა შემადგენლობაში ტანზანიასთან ნათამაშევი ჟორჟ ვეაც, მაგრამ ამაოდ.

„იუვენტუსის" ფრე გენუელ სამპდორიელებს მათთან ცხრილში მიახლოების საშუალებას აძლევდა. არ გამოუვიდათ. ნეაპოლში ჩასულებმა, სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, სამჯერ გაარტყეს მასპინძელთა ძელს ბურთი (ხუან ვერონმა, სინიშა მიხაილოვიჩმა და რობერტო მანჩინიმ), შემდეგ კი გაუშვეს. იტალიურ გუნდში მოთამაშე ფრანგმა სომეხმა ალენ ბოღოსიანმა ეფექტური დარტყმით გაიტანა გოლი, რომლის გაქვითვა ჩემპიონობის პრეტენდენტებმა მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მოახერხეს, თუმცა მეტად ლამაზად: მიხაილოვიჩმა უშორესი საჯარიმო, უძლიერესად, ცხრიანში შესო.

„სან სიროზე" იური ჯორკაეფმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ „ინტერში" მთავარი ფიგურაა. „ატალანტა" ლურჯ-შავებს გვარიანად ეურჩა, უფრო მეტად პირველ ტაიმში, მაგრამ მეორეში იურიმ თავისი გაიტანა. დამთავრებამდე 23 წუთით ადრე იგი ბერგამოელთა საჯარიმოში დაბზრიალდა და ნავსი გატეხა, სულ მიწურულს კი მისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ბურთი შორეულ ძელთან ჩილელ ივან სამორანოს აუწია, რომელმაც ლონიერი თაურით წერტილი, უფრო სწორად ძახილის ნიშანი დაუსვა თამაშს.

„რომა" „რეჯანას" 2:0-ს უგებდა. მასპინძლებმა ხელადვე მიაღწიეს ორბურთიან უპირატესობას. მეორე გოლის ასისტენტმა არგენტინელმა აბელ ბალბომ, საჯარიმოში ღრმად შესულმა, ბრძნული პასი დაუგორა ფრანჩესკო ტოტის და ამ პასის საგანგებოდ აღნიშვნის სურვილი გაგვიჩნდა, მაგრამ სწრაფმა დაწინაურებამ დედაქალაქელებს ეტყობა დათვური სამსახური გაუწია, რადგან ბოლოს ორი გაუშვეს. პირველი იგორ სიმუტენკოვმა გაუტანა, მეორე კი ომარ თეთრაძის ავტოგოლი იყო.

**პაატა ქადია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 21 | 11 | 8 | 2 | 29:15 | 41 |
| სამპდორია | 21 | 10 | 6 | 5 | 42:28 | 36 |
| ინტერი | 21 | 8 | 10 | 3 | 30:23 | 34 |
| პარმა | 21 | 9 | 7 | 5 | 21:19 | 34 |
| ბოლონია | 21 | 9 | 5 | 7 | 32:25 | 32 |
| რომა | 21 | 8 | 7 | 6 | 32:26 | 31 |
| ვიჩენცა | 21 | 8 | 7 | 6 | 32:26 | 31 |
| ატალანტა | 21 | 8 | 7 | 6 | 27:25 | 31 |
| ნაპოლი | 21 | 7 | 8 | 6 | 25:28 | 29 |
| ფიორენტინა | 21 | 6 | 10 | 5 | 29:23 | 28 |
| მილანი | 21 | 8 | 4 | 9 | 29:27 | 28 |
| ლაციო | 21 | 7 | 6 | 8 | 24:24 | 27 |
| უდინეზე | 21 | 7 | 6 | 8 | 28:29 | 27 |
| პიაჩენცა | 21 | 5 | 9 | 7 | 18:25 | 24 |
| პერუჯა | 21 | 6 | 4 | 11 | 25:38 | 22 |
| კალიარი | 21 | 4 | 7 | 10 | 23:35 | 19 |
| ვერონა | 21 | 4 | 5 | 12 | 25:42 | 17 |
| რეჯანა | 21 | 1 | 10 | 10 | 18:34 | 13 |

### სერია B

23-ე ტური. სალერნიტანა — ლუკეზე 1:0; ბრეშია — პესკარა 2:0; კომო — კოზენცა 3:2; დისანგრო — პალერმო 1:0; ჯენოა — ჩეზენა 1:0; ლეჩე — ვენეცია 2:2; პადოვა — ფოჯა 0:0; რავენა — კრემონეზე 4:0; რეჯინა — ბარი 2:2; ტორინო — ემპოლი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 23 | 11 | 8 | 4 | 36:27 | 41 |
| პესკარა | 23 | 11 | 7 | 5 | 33:20 | 40 |
| ბრეშია | 23 | 11 | 7 | 5 | 30:21 | 40 |
| ტორინო | 23 | 10 | 7 | 6 | 32:24 | 37 |
| ჯენოა | 23 | 8 | 11 | 4 | 32:16 | 35 |
| ბარი | 23 | 7 | 13 | 3 | 30:20 | 34 |
| რავენა | 23 | 10 | 7 | 6 | 31:24 | 34 |
| ემპოლი | 23 | 9 | 7 | 7 | 25:26 | 34 |
| კომო | 23 | 7 | 11 | 5 | 26:24 | 32 |
| ფოჯა | 23 | 8 | 8 | 7 | 24:25 | 32 |
| პადოვა | 23 | 5 | 11 | 7 | 23:28 | 26 |
| სალერნიტანა | 23 | 6 | 8 | 9 | 13:23 | 26 |
| ვენეცია | 23 | 5 | 10 | 8 | 27:27 | 25 |
| დი სანგრო | 23 | 7 | 4 | 12 | 15:28 | 25 |
| პალერმო | 23 | 4 | 12 | 7 | 24:29 | 24 |
| რეჯინა | 23 | 5 | 9 | 9 | 22:29 | 24 |
| ლუკეზე | 23 | 5 | 9 | 9 | 16:23 | 24 |
| კოზენცა | 23 | 5 | 8 | 10 | 24:31 | 23 |
| ჩეზენა | 23 | 4 | 10 | 9 | 19:24 | 22 |
| კრემონეზე | 23 | 5 | 7 | 11 | 14:27 | 22 |

## გერმანია

XIX ტური

**ფორტუნა 2:0 დორტმუნდი**
1:0 იურანი (46), 2:0 დობროვოლსკი (60)

**ფრაიბურგი 0:4 ჰამბურგი**
0:1 კმეჩი (32), 0:2 შპოურლი (45), 0:3 სალიჰამიჩი (75), 0:4 ბარონი (81)

**ზანქტ პაული 2:3 არმინია**
1:0 პროპერი (11), 1:1 რაინა (33), 1:2 ბოდე (44), 1:3 კუნცი (58), 2:3 შარპინგი (77)

**ჰანზა 0:1 ვერდერი**
0:1 ტოდტი (6)

**შტუტგარტი 0:1 კარლსრუე**
0:1 ბობიჩი (90)

**მიონხენგლადბახი 0:0 შალკე**

**ბოხუმი 1:1 ბაიერნი**
1:0 კრახი (55), 1:1 კლინსმანი (65)

**ლევერკუზენი 1:0 დუისბურგი**
1:0 ვორნსი (36)

**მიუნხენი 2:1 კიოლნი**
1:0 ტრარეხი (52), 2:0 ვილკნერი (84), 2:1 მუნტიანუ (90)

„ჩვენ დამსახურებულად წავაგეთ. დიუსელდორფი პირველ ნახევარში ვერაფრით გამოირჩეოდა, მეორეში კი თავად ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ საშუალოდ მოთამაშე გუნდი მრისხანე მეტოქედ მოგვევლინოდა" — განაცხადა მატჩის მერე დორტმუნდელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა. „ფორტუნა" რუსმა ლეგიონერებმა ახეირეს, დობროვოლსკიმ კი თავისი პირველი გოლი გაიტანა ბუნდესლიგაში. დიუსელდორფს თერთმეტი წელია, დორტმუნდისთვის ვერ მოუგია.

„ბოხუმისა" და ჩემპიონატის ლიდერის „ბაიერნის" თამაშს ბერტი ფოგტსი ესწრებოდა. მას უნდა გადაეწყვიტა, ვინ — ბასლერი, ვოში თუ შოლი გამოიყვანოს ხვალ ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ. ამათგან საუკეთესო შთაბეჭდილება ბოხუმელმა დარიუშ ვოშმა დატოვა, რომელიც თავისი გუნდის შეტევების ლიდერად მოგვევლინა. „ბოხუმმა" წლევანდელ სეზონში პირველად ვერ შეძლო იმ მატჩის მოგება, რომელსაც იგებდა, თუმცა დებიუტანტი შინ ჯერაც არ დამარცხებულა. „კარგად კი ვითამაშეთ, მაგრამ გატანილი ბურთის შემდეგ მოგების შეგვეშინდა" — თქვა ვოშმა.

შტუტგარტელებმა ბოლო წუთზე გამოგლიჯეს გამარჯვება „კარლსრუეს". ბრაზილიელ ჯოვანი ელბერს გოლის გატანა ისე გაუხარდა, რომ ბურთი ტრიბუნაზე დაარტყა. მსაჯმაც არ დაახანა და მეორე ყვითელი, შემდეგ კი წითელი ბარათიც უჩვენა. მანამდე მან მწვრთნელთა სკამიდან ტრიბუნაზე ასკუპა „კარლსრუეს" მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი, რომელიც თანამსაჯს ჭკუას ასწავლიდა. სეზონის განახლებიდან ეს მწვრთნელის დასჯის მესამე შემთხვევაა.

„ვერდერმა" დამსახურებულად მოიგო. როსტოკელები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ბრემენელთა კარგ დაცვას ვერაფერი დააკლეს. „ვერდერის" ნახევარდაცვის ბურჯი დიტერ აილტსი ბუნდესლიგაში ნათამაშევი 249 მატჩიდან მოედნიდან პირველად გააძევეს, თუმცა, სტუმრებს ვერც ამან უშველა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 19 | 11 | 7 | 1 | 31:15 | 40 |
| დორტმუნდი | 19 | 11 | 4 | 4 | 39:21 | 37 |
| ლევერკუზენი | 19 | 11 | 4 | 4 | 40:25 | 37 |
| შტუტგარტი | 19 | 10 | 4 | 5 | 40:20 | 34 |
| კარლსრუე | 19 | 8 | 5 | 6 | 31:22 | 29 |
| კიოლნი | 19 | 9 | 2 | 8 | 35:32 | 29 |
| ბოხუმი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:23 | 29 |
| შალკე 04 | 19 | 8 | 5 | 6 | 26:26 | 29 |
| ვერდერი | 19 | 8 | 4 | 7 | 31:28 | 28 |
| მიუნხენ 1860 | 19 | 6 | 6 | 7 | 30:34 | 24 |
| ჰამბურგი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:29 | 23 |
| დუისბურგი | 19 | 6 | 5 | 8 | 18:24 | 23 |
| არმინია | 19 | 6 | 4 | 9 | 23:32 | 22 |
| ფორტუნა | 19 | 6 | 3 | 10 | 16:28 | 21 |
| გლადბახი | 19 | 5 | 4 | 10 | 14:23 | 19 |
| ზანქტ პაული | 18 | 5 | 3 | 10 | 23:35 | 18 |
| ჰანზა | 19 | 4 | 4 | 11 | 20:28 | 16 |
| ფრაიბურგი | 19 | 4 | 1 | 14 | 20:45 | 13 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-18 ტური. უნტერჰახინგი — კაიზერსლაუტერნი 0:0; ურდინგენი — ლაიპციგი 5:0; მანჰაიმი — ცვიკაუ 4:0; ვოლფსბურგი — ფორტუნა 2:1; კოკერსი — როტ ვაისი 1:1; აინტრახტი — ლიუბეკი 3:0; მეპენი — ოლდენბურგი 2:1; კარლ ცაისი — გიუტერსლო 2:5.

პირველი ხუთეული ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 18 | 9 | 7 | 2 | 32:11 | 34 |
| ვოლფსბურგი | 18 | 7 | 9 | 2 | 22:12 | 30 |
| მეპენი | 18 | 7 | 8 | 3 | 24:20 | 29 |
| მაინცი | 17 | 7 | 7 | 3 | 29:20 | 28 |
| ჰერტა | 17 | 8 | 4 | 5 | 27:18 | 28 |

## ესპანეთი

XXVI ტური

**დეპორტივო 3:0 ბეტისი**
1:0 რივალდო (37), 2:0 ნანდო (40), 3:0 რივალდო (61)

**სევილია 1:4 ლოგრონიესი**
0:1 მარკოვიჩი (43), 0:2 ხოსა (45), 0:3 მარკოვიჩი (70), 1:3 სალვა (87), 1:4 მორალესი (90)

**სელტა 2:0 რაიო ვალეკანო**
1:0 გუდელი (45), 2:0 რევივო (57)

**რეალი 6:1 ოვიედო**
1:0 შუკერი (2), 2:0 მიატოვიჩი (57), 3:0 შუკერი (63), 5:0 რაული (68), 5:1 ტონი (87), 6:1 ვიქტორი (89)

**ბილბაო 2:2 რასინგი**
0:1 კორეა (2 პ), 0:2 არპონი (50), 1:2 ურსაისი (55), 2:2 ლარასაბალი (64 პ)

**სპორტინგი 2:1 ტენერიფე**
1:0 ლუნა (6), 1:1 პასი (49), 2:1 ლუნა (77)

**ვალიადოლიდი 3:0 სოსიედადი**
1:0 ვიქტორი (26), 2:0 ვიქტორი (47 პ), 3:0 სოტო (78)

**ესტრემადურა 3:0 ესპანიოლი**
1:0 სილვანი (20), 2:0 პადილა (75), 3:0 ფერეირა (88)

**ბარსელონა 4:1 სარაგოსა**
1:0 აბელარდო (10), 2:0 რონალდო (39 პ), 3:0 რონალდო (45), 4:0 რონალდო (72), 4:1 გარიტანო (81 პ)

**ერკულესი 0:2 ატლეტიკო**
0:1 პროდანი (24), 0:2 პანტიჩი (28)

რობსონ წადი! რობსონ დარჩი! ბარსელონას მოსახლეობა ციებ-ცხელებას შეუპყრია. 64 წლის ინგლისელი ბობი რობსონი კი მაგრად დგას. გასული კვირის შუაში „სოსიედადთან" 0:2 წაგება მან ასე ახსნა: „გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. მსაჯმა მეტოქე სასაცილო პენალტით დააჯილდოვა, ჩვენ კი პირიქით, რაც გვეკუთვნოდა, არ მოგვცა. გულშემატკივრები კი უცნაურად მსჯელობენ — დაუმარცხებელი არავინაა, თვით მიგელ ინდურაინსაც კი წაუგია რამდენიმე რბოლა. ერთადერთი, ამ ნათქვამს რასაც დავამატებ, ესაა: მე ვრჩები.

„ნოუ კამპი" ორადაა გაყოფილი. ზოგი იმას ამბობს, ოღონდ წავიდეს, საკომპენსაციო ფულს ჩვენ ავუგროვებთო, ზოგიც პირიქითაა განწყობილი. მთავარი კი „ბარსას" პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესია, რომელიც ინგლისელს მხარს უჭერს: „რობსონი ამ და მომავალ სეზონს ჩვენთან ჩაატარებს. ხალხი თვლის, რომ ჩვენი გუნდი ცუდად თამაშობს, მაგრამ განა შეიძლება ცუდად თამაშობდეს გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი?"

„ბარსამ" გოლების ფეიერვერკი „სარაგოსასთანაც" მოაწყო. ანგარიში აბელარდომ თაურით გახსნა. შემდეგ რონალდოს წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი დაინიშნა და ბრაზილიელმაც ზუსტად დაარტყა. ყმაწვილმა ამ შეხვედრაში კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი, მეტოქემ კი ერთით უპასუხა. რაც შეეხება გაძევებას, სარაგოსელ აგუადოს უწია, რადგან მსაჯს დიდი კამათი მოურთო. მატჩის შემდეგ რონალდომ თქვა, პირველ ტაიმში საუცხოოდ ვითამაშეთო.

დიდი სხვაობით იმარჯვა „რეალმაც". ანგარიში დავორ შუკერმა გახსნა პენალტით, რომელიც ამავისკას წაქცევისთვის დაინიშნა. შემდეგ მასპინძლებს ხოსე კალვო გაუძევეს, სტუმრებმა კი აგოლეს იქაურობა. „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ეს გამარჯვება შუა კვირის მარცხის შემდეგ თვით რწმენას აღგვიდგენს" — თქვა კმაყოფილმა ჰეთ-თრიქის ავტორმა შუკერმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 17 | 8 | 1 | 57:22 | 59 |
| ბარსელონა | 26 | 16 | 5 | 5 | 67:33 | 53 |
| ბეტისი | 25 | 13 | 8 | 4 | 51:27 | 47 |
| დეპორტივო | 26 | 12 | 11 | 3 | 38:19 | 47 |
| ატლეტიკო | 25 | 13 | 7 | 5 | 48:29 | 46 |
| სოსიედადი | 26 | 13 | 5 | 8 | 35:29 | 44 |
| ბილბაო | 26 | 10 | 10 | 6 | 46:36 | 40 |
| ვალიადოლიდი | 26 | 11 | 7 | 8 | 35:29 | 40 |
| რასინგი | 26 | 9 | 11 | 6 | 29:25 | 38 |
| ტენერიფე | 25 | 10 | 6 | 9 | 41:28 | 36 |
| ვალენსია | 25 | 9 | 6 | 10 | 33:32 | 33 |
| სელტა | 26 | 8 | 9 | 9 | 30:32 | 33 |
| ოვიედო | 26 | 7 | 8 | 11 | 32:39 | 29 |
| სპორტინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 25:37 | 29 |
| კომპოსტელა | 25 | 7 | 7 | 11 | 25:43 | 28 |
| რაიო | 25 | 7 | 6 | 12 | 25:36 | 27 |
| ესპანიოლი | 26 | 7 | 5 | 14 | 29:40 | 26 |
| სარაგოსა | 26 | 5 | 10 | 11 | 32:44 | 25 |
| ლოგრონიესი | 26 | 7 | 4 | 15 | 22:52 | 25 |
| ესტრემადურა | 26 | 5 | 8 | 13 | 18:38 | 23 |
| სევილია | 25 | 6 | 3 | 16 | 21:40 | 21 |
| ერკულესი | 26 | 5 | 4 | 17 | 22:51 | 19 |

## ბელგია

24-ე ტური. ბრიუგე — ლოკერენი 8:2; ეკერენი — ლომელი 3:2; გენტი — ანდერლეხტი 1:2; ანტვერპენი — სერკლ ბრიუგე 0:0; მოლენბეკი — ლიერსი 0:1; სტანდარდი — შარლერუა 4:1; გენკი — მეხელენი 0:1; ხენტ ტრიუდენი — აალსტი 1:0; ჰარელბეკი — მუსკრონი 2:2. გამოტოვებული მატჩი. ლომელი — ანდერლეხტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 24 | 14 | 8 | 2 | 45:21 | 50 |
| ბრიუგე | 24 | 15 | 4 | 5 | 53:29 | 49 |
| ლიერსი | 24 | 13 | 9 | 2 | 43:25 | 48 |
| ანდერლეხტი | 24 | 11 | 9 | 4 | 39:19 | 42 |
| ანტვერპენი | 24 | 12 | 3 | 9 | 38:35 | 39 |
| ჰარელბეკი | 24 | 11 | 6 | 7 | 38:26 | 39 |
| სტანდარდი | 24 | 12 | 2 | 10 | 41:36 | 38 |
| ლომელი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:37 | 36 |
| გენკი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:30 | 29 |
| გენტი | 24 | 8 | 4 | 12 | 35:45 | 28 |
| სტ. ტრიუდენი | 24 | 7 | 6 | 11 | 33:43 | 27 |
| ლოკერენი | 24 | 7 | 6 | 11 | 34:45 | 27 |
| ეკერენი | 24 | 7 | 5 | 12 | 31:38 | 26 |
| მოლენბეკი | 24 | 7 | 5 | 12 | 23:31 | 26 |
| შარლერუა | 24 | 7 | 5 | 12 | 28:37 | 26 |
| მეხელენი | 24 | 6 | 8 | 10 | 25:36 | 26 |
| აალსტი | 24 | 4 | 9 | 11 | 27:40 | 21 |
| სერკლ ბრიუგე | 24 | 3 | 7 | 14 | 26:49 | 16 |

## თურქეთი

23-ე ტური. ვანსფორი — ბურსა 1:0; გენჩლერბირლიგი — ალთაი 1:2; დარდანელი — გალათასარაი 0:3; ისთანბული — სამსუნი 1:1; დენიზლი — გაზიანთეფი 3:1; ანთალია — ქოჯაელი 3:2; ტრაბზონსფორი — ანკარაგიუჯიუ 1:1; სარიერი — ბეშიქთაში 1:6; ფენერბაჰჩე — ზეითუნბურნუ 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 23 | 16 | 5 | 2 | 60:19 | 53 |
| ფენერბაჰჩე | 23 | 15 | 5 | 3 | 45:15 | 50 |
| ბეშიქთაში | 23 | 14 | 7 | 2 | 55:16 | 49 |
| ტრაბზონი | 23 | 15 | 4 | 4 | 44:22 | 49 |
| გაზიანთეფი | 23 | 11 | 7 | 5 | 27:21 | 40 |
| ბურსა | 23 | 11 | 5 | 7 | 32:23 | 38 |
| ქოჯაელი | 23 | 9 | 7 | 7 | 25:22 | 34 |
| გენჩლერბირ. | 23 | 9 | 4 | 10 | 28:29 | 31 |
| ისთანბული | 23 | 8 | 6 | 9 | 30:29 | 30 |
| ანთალია | 23 | 8 | 5 | 10 | 27:32 | 29 |
| სარიერი | 23 | 8 | 4 | 11 | 33:38 | 28 |
| სამსუნი | 23 | 7 | 7 | 9 | 28:36 | 28 |
| ალთაი | 23 | 6 | 7 | 10 | 21:40 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 23 | 6 | 6 | 11 | 25:34 | 24 |
| დარდანელი | 23 | 5 | 6 | 12 | 20:41 | 21 |
| ვანსფორი | 23 | 4 | 6 | 13 | 18:36 | 18 |
| დენიზლი | 23 | 4 | 3 | 16 | 24:50 | 15 |
| ზეითუნბურნუ | 23 | 2 | 4 | 17 | 19:59 | 10 |

## საბერძნეთი

22-ე ტური. ოლიმპიაკოსი — აპოლონი 0:0; აეკი — კალამატა 6:1; ედესაიკოსი — პანათინაიკოსი 0:1; კავალა — ოფი 2:1; კასტორია — პანილიაკოსი 1:2; პანახაიკი — ვერია 0:0; ქსანთი — ირაკლისი 3:4; არისი — იონიკოსი 0:0; ათინაიკოსი — პაოკი ნუხელ გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 16 | 4 | 2 | 36:10 | 52 |
| პანათინაიკოსი | 22 | 15 | 3 | 4 | 41:11 | 48 |
| აეკი | 22 | 14 | 4 | 4 | 49:19 | 46 |
| ოფი | 22 | 12 | 4 | 6 | 32:19 | 40 |
| კავალა | 22 | 11 | 4 | 7 | 26:19 | 37 |
| პანილიაკოსი | 22 | 10 | 4 | 8 | 29:25 | 34 |
| ვერია | 22 | 9 | 5 | 8 | 24:17 | 32 |
| პაოკი | 21 | 8 | 8 | 5 | 21:19 | 32 |
| პანახაიკი | 22 | 7 | 8 | 7 | 21:23 | 29 |
| იონიკოსი | 22 | 8 | 4 | 10 | 22:26 | 28 |
| ირაკლისი | 22 | 7 | 5 | 10 | 26:36 | 26 |
| აპოლონი | 22 | 7 | 4 | 11 | 24:30 | 25 |
| კალამატა | 22 | 6 | 7 | 9 | 25:39 | 25 |
| ედესაიკოსი | 22 | 6 | 4 | 12 | 26:35 | 22 |
| ათინაიკოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 20:35 | 22 |
| ქსანთი | 22 | 5 | 6 | 11 | 29:37 | 21 |
| არისი | 22 | 4 | 9 | 9 | 17:32 | 18 |
| კასტორია | 22 | 1 | 3 | 18 | 11:47 | 6 |

## შოტლანდია

28-ე ტური: დანფერმლაინი — აბერდინი 3:0; ჰართსი — რეით როვერსი 3:2; კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი 2:3; მოზერველი — სელტიკი 0:1; რეინჯერსი — ჰიბერნიანი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 27 | 21 | 4 | 2 | 69:22 | 67 |
| სელტიკი | 27 | 19 | 3 | 5 | 64:25 | 60 |
| დანდი იუნ. | 27 | 13 | 7 | 7 | 37:23 | 46 |
| ჰართსი | 28 | 11 | 8 | 9 | 40:37 | 41 |
| აბერდინი | 28 | 9 | 9 | 10 | 38:46 | 36 |
| დანფერმლაინი | 27 | 10 | 5 | 12 | 41:50 | 35 |
| მოზერველი | 28 | 7 | 7 | 14 | 32:49 | 28 |
| ჰიბერნიანი | 27 | 6 | 7 | 14 | 27:46 | 25 |
| კილმარნოკი | 27 | 7 | 3 | 17 | 31:53 | 24 |
| რეით როვერსი | 28 | 5 | 5 | 18 | 24:54 | 20 |

# «ლივერპულმა» ვერ გაიჯეჯილა

## ინგლისი

XXVI ტური

### არსენალი 0:1 უიმბლდონი

**არსენალი: ლუკიჩი, დიქსონი, ვინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი (მორროუ 46), პარლოუ (ჰიუზი 46), გარდი (შოუ 79), მარშალი, რაიტი, მერსონი, ბერხკამპი,**
**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კომბლი, ჯოუნზი (მაკალისტერი 56), ბლექველი, ლეონარდსენი (ფეარი 13), ეკოკუ, გეილი (ჰოლდსუორსი 87), პერი, ერდლი**
**გოლი: ჯოუნზი (21)**

„არსენალთან" სტუმრად „უიმბლდონს" ბოლო ათი სეზონი არ წაუგია. კლუბმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და სეზონში მეთოთხმეტედ შეინახა კარი მშრალად. თამაში მასპინძლებისა იყო, მაგრამ ამას მათთვის ხეირი არ მოუტანია. კვლავ ვერ ითამაშა დაშავებულმა სიმენმა, რომლის არყოფნაში გუნდმა 6 ქულა დაკარგა. არსენალელები პირველი წუთებიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს, მაგრამ სტუმრები მედგრად დაუხვდნენ. სალივანმა ბერხკამპის, მერსონის და რაიტის ოთხი დარტყმა მოიგერია, იმდენჯერვე დაცვაც გაუმკლავდა მასპინძლებს. გოლამდე არც „უიმბლდონი" იყო გულხელდაკრეფილი და ორჯერ მწვავედაც შეუტია, მაგრამ ერთხელ ეკოკუმ ააცილა, მეორედ კი ლუკიჩმა მოიგერია. თუმცა მალე ჯოუნზმა საწადელს მაინც მიაღწია. ამასთან, ჯოუნზი მეორე ტაიმში, ლეონარდსენი კი პირველში დაშავდნენ და ხვალ ლიგის თასზე „საუთჰემპტონთან" მათი თამაში სათუოა.

### ჩელსი 1:1 მანჩესტერი

**ჩელსი: ჰიჩკოკი (გროდასი 39), პეტრესკუ (გულიტი 74), ლებეფი, კლარკი, მ. ჰიუზი, უაიზი, დი მატეო, ხინკლერი, ნიუტონი, ძოლა, მინტო (იონსენი 70)**
**იუნაიტედი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, პალისტერი, კოული, ბექემი, გიგზი (კრუიფი 83), მაკლეირი, კონი, იონსენი (მეი 90), სოლსკიაერი**
**გოლი: ძოლა (2), ბექემი (68)**

ორივე გუნდმა ჩინებულად ითამაშა. მასპინძელთაგან ძოლამ, სტუმართაგან კი ბექემმა ითავეს ლიდერობა. თამაში ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ ძოლამ შესანიშნავი სოლო რეიდის შემდეგ შმაიხელს კარიდან გამოატანინა ბურთი: მარჯვენიდან საჯარიმოში შეიჭრა, ირვინი და პალისტერი ფინტებით ჩამოიშორა, მაკლეირს გასცდა და შმაიხელისგან მარცხენა კუთხეში გაიტანა. გოლის შემდეგ ორ წუთში შმაიხელს



ჩელსელი მარკ ჰიუზი მანჩესტერელ ბრაიან მაკლეირს გაექცა

კვლავ მოუხდა გარჯა: ამჯერად დანიელი უაიზის დარტყმულს დახვდა ადგილზე. მე-20 წუთიდან „იუნაიტედმა" აიკლო მეტოქე: ჯერ გიგზმა ააცილა ახლო მანძილიდან, შემდეგ სოლსკიაერის დარტყმა მოიგერია ჰიჩკოკმა, მესამედ ამ ორის გათამაშებული კომბინაცია გიგზის დარტყმით დასრულდა. მთელი ხუთი წუთის განმავლობაში „ჩელსიმ" ცენტრს იქით ნაბიჯიც ვერ გადადგა, მაგრამ მალე მოეგო გონს და სახიფათო ჯარიმაც გააჩერა დი მატეოს წაქცევისთვის — ძოლას დარტყმულს შმაიხელი რის ვაივაგლახით გაუმკლავდა. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა გროდასმა ლამის პირველივე წუთებში გაუშვა გოლი, მაგრამ ნევილის თაური მცირედით გადასცდა ხარიხას. ცოტა ხნის შემდეგ კი პალისტერმა ნევილისგან მიიღო ბურთი, მაგრამ პასი კარიდან გამოსულმა გროდასმა ჩაჭრა. მეკარემ მაინც ვერ შეინახა კარი მშრალად: ბექემმა ულამაზესი გოლი შეაგდო. „იუნაიტედმა" ლიდერობა შეინარჩუნა და დაუმარცხებელი სერია 15 მატჩამდე გაზარდა.

### ლესტერი 4:2 დერბი ქაუნთი

**ლესტერი: კელერი, გრეისონი, ლოურენსი, პრაიორი, უოტსი, უოლში, ტეილორი (უილსონი 57), კემპბელი, პარკერი, კლარიჯი, მარშალი**
**დერბი: ჰოლტი, როუეტი, პაუელი (ლაურსენი 45), შტიმაცი, ხტარიჯი, ასანოვიჩი, უარდი, ტრილოპი, კერსლი, დეილი (რამბერგი 82), მაკგრათი (სიმპსონი 67)**
**გოლი: ხტარიჯი (2,47), კლარიჯი (59), მარშალი (2,24, 27)**

„ლესტერმა", ისევე როგორც „ჩელსისთან" შეხვედრისას თასზე, ხუთი კაცი მოისაკლისა — ელიოტი, ჰესკი, ლენონი, იზეტი და „ოსასუნადან" ახლახანს გადაყვანილი რობერ ალზორნი, ვინაც სადებიუტო მატჩის მე-12 წუთზე ფეხი მოიტეხა. ამდენი ძირითადი ფეხბურთელის ნაკლებობას ხელი არ შეუშლია.

### ქოვენთრი 0:0 ევერტონი

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, ბრინი, რიჩარდსონი, მაკალისტერი, ტელფერი, ნდლოვუ (ველანი 73), ჰოლი, დაბლინი, ჰაკერბი**
**ევერტონი: გერარდი, ანსუორსი, უოტსონი, შორტი, ბარეტი, ფელანი, ხპიდი, ბარმბი, ტომსენი, სტიუარტი, ფერგიუსონი**

გუნდები კარგა ხანია ლიგაში დასარჩენად აგრძელებენ ბრძოლას. მასპინძელთაგან დიონ დაბლინი გამოირჩეოდა, სტუმართაგან კი ჩინებულად ითამაშა უელსელი ნევილ საუთჰოლის ნაცვლად მოთამაშე გერარდმა, ვინც, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. შეხვედრაში ნაკლებად იყო სახიფათო მომენტები. შეხვედრის ბოლო წუთებში კი გუნდებმა შეტევებზე საერთოდ უარი თქვეს და ქულის გადარჩენა დაისახეს მიზნად, რაც პირნათლად შეასრულეს.

### ლივერპული 0:0 ბლექბერნი

**ლივერპული: ჯეიმსი, მაკატირი, კვარმე, რაიტი, მატეო, ბიორნებიე, მაკმანამანი, ბარნსი, რედნეპი, კოლიმორი, ფაულერი**
**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, სატონი (ენი 58), უილკოქსი, მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი**

ეტყობა, იმ დილით ფაულერი მარცხენა ფეხზე ადგა, ანაც მატჩის წინ ვილაცამ დათარსა — აბა, ამდენ საგოლე მომენტს როგორ გააფუჭებდა? მთელი შეხვედრის განმავლობაში „ლივერპული" უტევდა, „ბლექბერნი" თავს იცავდა, გოლი კი არა და არ გავიდა. ფაულერმა და მისიანებმა ათამდე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. თავად განსაჯეთ: მე-10 წუთზე სტუმართა მეკარე საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის დააჯარიმეს და გააფრთხილეს, რედნეპის ჩაწოდებულს ფაულერი შეეგება, მაგრამ თაური მცირედით ასცდა კარს; მალე მაკატირის დარტყმულმა ჩაუქროლა მარჯვენა ძელს; მე-20 წუთზე რედნეპმა ფაულერი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მან ბურთი მაინცდამაინც ფლაუერსს მოარტყა; ხუთ წუთში სტუმართა კარში ჯარიმა დაინიშნა, მაგრამ რედნეპის დარტყმულს ფლაუერსი ადგილზე დახვდა; ცოტა ხნის შემდეგ მან ფაულერის დარტყმა მოიგერია კუთხურზე; ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, როცა მაკატირმა ფაულერის პასი ვერ გამოიყენა; 45-ე წუთზე რაიტმა ოდნავ გადააცილა ხარიხას.

მეორე ტაიმი პირველის ტყუპისცალი გამოდგა. მეთხე წუთისთვის ფაულერმა ორი მომენტის გაფუჭება მოასწრო. 50-ეზე კოლიმორის ნელი პასით ვერ იხეირა — დარტყმა აეჭრა. 56-ე წუთზე „ლივერპული" თერთმეტმეტრიანს გადაურჩა: გამოსვლისას ჯეიმსი უხეშად ეთამაშა გალაჰერს, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევა რატომღაც არ დააფიქსირა. ორ წუთში სტუმრებმა ახალნაყიდი დანიელი ფორვარდი პერ პედერსენი შეიყვანეს, რომელმაც მათი შეტევები გარკვეულწილად გააძლიერა. 70-ე წუთიდან ფაულერს სამჯერ ჰქონდა კარის აღების რეალური შესაძლებლობა — ორჯერ ძელს გადააცილა, ერთხელ კი, როცა ხელს არავინ უშლიდა, პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი ფლაუერსს.

### მიდლსბრო 0:1 ნიუკასლი

**მიდლსბრო: რობერტსი, კოქსი, ვიკერსი, მახტო, მური, ფლემინგი, ფესტა, ჰინეტი, ბექი, ჟუნინიო, რავანელი**
**ნიუკასლი: ჰისლოპი, უოტსონი, ელიოტი, კლარკი, პიკოკი, ალბერი, ლი, გილესპი, შირერი, ფერდინანდი, ბარტონი**
**გოლი: ფერდინანდი (8)**

მატჩის დღეს ბრაზილიელი ჟუნინიო 24 წლის შესრულდა, მაგრამ იუბილარმა ეს დღე საკადრისი თამაშით ვერ აღნიშნა. მისი თანამემამულე და თანაგუნდელი ემერსონი დისკვალიფიკაციის გამო არ თამაშობდა, სტუმრებს კი ბეტი აკლდათ. მატჩი საკმაოდ დუნედ წარიმართა. საკითხავია, რა ხასიათზე იქნებოდა კენი დალგლიში, ფერდინანდის ერთადერთი გოლი რომ არა. მთელი მატჩის განმავლობაში უხალისოდ ირჯებოდა შირერ-ფერდინანდის დუეტი. მატჩის ერთ-ერთი პირველი შეტევა ნიუკასლელმა კლარკმა წამოიწყო, სწორედ მისი პასის შემდეგ შეაგდო ფერდინანდმა. გოლი სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ შესრულების დონე მაღალი იყო. 70-ე წუთზე რავანელი უხეშად ეთამაშა ალბერს, რამაც მოედანზე უსიამოვნო წალაპარაკება გამოიწვია. შეხვედრის ბოლოს ჰისლოპი შეცდა — ერთადერთხელ მთელ მატჩში, მაგრამ დაზღვევაზე კარგად ითამაშა პიკოკმა.

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე „მიდლსბროს" მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა ქვედალიგელი „ბრედფორდიდან" ავსტრალიელი მეკარე მარკ შვარცერი შეისყიდა. თუ შვარცერმა პრემიერლიგაში ითამაშა, მეორე ავსტრალიელი მეკარე იქნება „ასტონ ვილას" მარკ ბოზნიჩის შემდეგ, ვისაც ოდესმე ინგლისის უმაღლეს დივიზიონში უთამაშია.

### ნოტინგემი 0:0 ასტონ ვილა

**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, კუპერი, ჩეტლი, ბარტ-უილიამსი, უილიამსი, ჯემილი, სონდერსი, როი (უოენი 75), ჰაალანდი, კლაფი**
**ვილა: ბოზნიჩი, ნელსონი, რაიტი, სტონტონი (შიმეცა 46), საუთგეიტი, ტეილორი, დრეიპერი, ემიოგუ, თაუნსენდი, იორკი, მილოშევიჩი**

ზედიზედ სამი დამარცხების შემდეგ „ნოტინგემმა", როგორც იქნა, ქულა მოიპოვა, თუმცა რის ვაი-ვაგლახით. მთელი შეხვედრის განმავლობაში „ასტონ ვილა" უტევდა და მოგებასაც იმსახურებდა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. 87-ე წუთზე სავო მილოშევიჩის გატანილი გოლი კი მსაჯმა არ ჩათვალა.

### საუთჰემპტონი 2:3 შეფილდი

**საუთჰემპტონი: ტეილორი, ნილსონი, ჩარლტონი (რობინსონი 83), ვან გობელი (სლეიტერი 66), მედისონი, მონკუ, მეჯილტონი, ლე ტისიე, ოსტენსტადი, ბერკოვიჩი, დოდი**
**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, ნიუსამი, ჰერსტი, ჰამფრიზი (ბლინკერი 46), სტეფანოვიჩი, კოლინზი (ბუთი 46), ნიკოლი, კარბონი (ოუქსი 89)**
**გოლი: ოსტენსტადი (28), ლე ტისიე (33 პ), ჰერსტი (49, 55), ბუთი (78)**

მეტოქეებმა თითო ტაიმი მოიგეს, საბოლოოდ კი სტუმრებმა იმარჯვეს. 27-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილი ეგილ ოსტენსტადი ის-ის იყო დარტყმას აპირებდა, რომ მსაჯმა თამაშგარე მიუთითა. 60 წამში მან მაინც მიაღწია მიზანს: თითქმის იმავე სიტუაციაში მეოფმა დაარტყა პრესმენის კარის შორეულ კუთხეში. ხუთ წუთში მასპინძლები უკვე ორი ბურთით დაწინაურდნენ: მონკუმ საჯარიმოში ჩააწოდა ბერკოვიჩის მისამართით, ნიუსამმა ჩაჭრა სცადა, მაგრამ უნებლიედ ხელით ითამაშა. არბიტრს გადაწყვეტილება ვერავინ და ვერაფერმა შეაცვლევინა, თერთმეტმეტრიანს კი ადვილად გაართვა თავი ლე ტისიემ. მე-40 წუთზე „საუთჰემპტონს" მესამედ შეეძლო გაეტანა, მაგრამ ოსტენსტადის დარტყმული ძელს მოხვდა. მეორე ტაიმში მასპინძლები საკუთარმა თავდაჯერებამ დაღუპა. მე-4 წუთზე მეჯილტონის შეცდომით ისარგებლა ჰერსტმა და სხვაობა შეამცირა, ხუთ წუთში კი, პემბრიჯის ზუსტი პასით, გაათანაბრა. თამაში დაიძაბა, მღელვარებამ დამთავრებამდე 12 წუთით ადრე უფრო იმატა, როდესაც შეცვლაზე შესულმა ბუთმა მესამე და სამი ქულის მომტანი გოლი შეაგდო. უნდა ითქვას, რომ გამარჯვების გოლის გატანაში დიდი წვლილი დაიდო ასევე შეცვლაზე შესულმა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა რეჯი ბლინკერმა.

### სანდერლენდი 0:1 ლიდსი

**სანდერლენდი: პერეზი, ჰოლი, სკოტი, მელვილი, ორდი, გრეი (რასელი 51), უილიამსი (სმიტი 46), ბრაისველი, ბოლი, კელი, მულინი (რეი 76)**
**ლიდსი: მარტინი, დორიგო (მართი 22), კელი, რადებე, შარპი, დინი, ბოუერი, ჰოლი, იებოა (უოლეში 86), მოლენაარი**

გუნდებს საშინელ ამინდში მოუხდათ თამაში, მთელი შეხვედრის განმავლობაში ძლიერი ქარი უშლიდათ ხელს. სტუმართაგან სეზონში მეორედ ითამაშა განელმა ტონი იებოამ, ძირითადში კი რამდენიმე მატჩის გამოტოვების შემდეგ დაბრუნდნენ იან რაში და ლი შარპი. სტუმრების არ იყოს, მასპინძლებსაც შეემატნენ გამოჯანმრთელებული მოთამაშეები. გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი კევინ ბოლი და მარტინ სკოტი. მეორე ტაიმის მე-4 წუთზე ბოუერმა მასპინძელთა მთელი დაცვა მოიტოვა უკან, პერესიც მიაყოლა და ანგარიში გახსნა. მასპინძლების საქმეს ფორვარდ რასელის მოედანზე შეყვანამაც ვერ უშველა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 15 | 9 | 3 | 53:30 | 54 |
| ლივერპული | 27 | 15 | 8 | 4 | 46:20 | 53 |
| ნიუკასლი | 26 | 14 | 6 | 6 | 51:30 | 48 |
| არსენალი | 28 | 13 | 9 | 6 | 45:26 | 48 |
| ასტონ ვილა | 27 | 12 | 7 | 8 | 34:26 | 43 |
| უიმბლდონი | 24 | 12 | 6 | 6 | 37:28 | 42 |
| ჩელსი | 25 | 11 | 9 | 5 | 39:34 | 42 |
| შეფილდი | 26 | 9 | 12 | 5 | 31:31 | 39 |
| ლიდსი | 27 | 9 | 6 | 12 | 22:31 | 33 |
| ევერტონი | 26 | 8 | 8 | 10 | 34:38 | 32 |
| ტოტენჰემი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:33 | 32 |
| ლესტერი | 25 | 8 | 6 | 11 | 29:37 | 30 |
| დერბი | 27 | 6 | 11 | 10 | 27:36 | 29 |
| სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 23:33 | 29 |
| ბლექბერნი | 25 | 6 | 10 | 9 | 26:25 | 28 |
| ქოვენთრი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:35 | 28 |
| ნოტინგემი | 26 | 5 | 9 | 12 | 23:40 | 24 |
| ვესტ ჰემი | 25 | 5 | 7 | 13 | 20:33 | 22 |
| საუთჰემპტონი | 24 | 5 | 5 | 14 | 34:44 | 20 |
| მიდლსბრო | 25 | 5 | 7 | 13 | 30:45 | 19 |

## პირველი დივიზიონი

### მანჩესტერ სიტი 3:0 სვინდონი

**სიტი: რაიტი, ბრაისველი, ჰორლოკი, ლომასი, საიმონსი, ბიხლი, სამერბი, მაკგოლდრიკი, დიკოვი (გრინერსი 77), ჰინი, როსლერი**
**გოლი: ჰორლოკი (16), სამერბი (66), როსლერი (69)**

ფრენკ კლარკი, „ნოტინგემის" მიერ ათვალწუნებული მწვრთნელი რომ არა, მანჩესტერელები ახლაც გამოუვალ მდგომარეობაში იქნებოდნენ. „სიტიში" კლარკის მისვლის დღიდან გუნდის ალმავლობა დაიწყო. კლუბს მისი ხელი დაეტყო — ახლა „სიტი" გუნდია და არა მოყვარულთა ნაკრები, რომელსაც პირველ დივიზიონშიც კი არაფერი ესაქმება. გიორგის ამ შეხვედრაში არ უთამაშია. გეხსომებათ, წინა შეხვედრაში მან უხეშად მოთამაშე მეტოქეს გაარტყა, მართალია, გაძევებით არ გაუძევებიათ, მაგრამ დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ეს მატჩი კი სტუმართა უხეში თამაშით გამოირჩა. მსაჯმა „სვინდონის" დებიუტანტი პიტერ ჰოლკროფტი გააძევა კიდეც, რაკი ამან დიკოვს შეაფურთხა. სტუმრებს ორი გოლი ყოფილმა სვინდონელებმა — ჰორლოკმა და სამერბიმ გაუტანეს, მესამე კი როსლერმა შეაგდო — სეზონში მეხუთე. მატჩის შემდეგ გახარებულმა კლარკმა განაცხადა: „ბევრი მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ წარმატებას მაინც მივაღწიეთ. თანდათან ვდგებით ფეხზე. არ მინდა, ფეხბურთელებს წარმატებები თავში აუვარდეთ. მართალია, ბოლო სამი მატჩი დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. წინ უფრო დიდი წარმატებები გველის."

**ტურის სხვა მატჩები: ბირმინგემი — პორტ ვეილი 1:2, ბარნსლი — ვულვერჰემპტონი 1:3, ჩარლტონი — ნორვიჩი 4:4, კრისტალ პალასი — ტრანმერი 0:1, ჰადერსფილდი — ბოლტონი 1:2, იფსვიჩი — ოქსფორდი 2:1, ოლდემი — ბრედფორდი 1:2, რედინგი — საუთენდი 3:2, შეფილდი — გრიმზბი 3:1, სტოკ სიტი — ქუინზ პარკი 0:0, ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი 0:2.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 34 | 19 | 11 | 4 | 71:45 | 68 |
| ვულვზი | 33 | 17 | 7 | 9 | 47:32 | 58 |
| ბარნსლი | 32 | 15 | 10 | 7 | 54:40 | 55 |
| შეფილდი | 33 | 15 | 9 | 9 | 57:39 | 54 |
| ნორვიჩი | 33 | 14 | 8 | 11 | 50:52 | 50 |
| კრისტალ პალ. | 32 | 13 | 10 | 9 | 59:34 | 49 |
| იფსვიჩი | 33 | 12 | 12 | 9 | 47:42 | 48 |
| პორტსმუთი | 33 | 14 | 6 | 13 | 40:37 | 48 |
| პორტ ვეილი | 34 | 11 | 14 | 9 | 42:39 | 47 |
| სტოკ სიტი | 32 | 13 | 8 | 11 | 40:43 | 47 |
| ტრანმერი | 32 | 13 | 7 | 12 | 44:42 | 46 |
| ქუინზ პარკი | 33 | 11 | 11 | 11 | 44:45 | 44 |
| ოქსფორდი | 33 | 12 | 7 | 14 | 46:43 | 43 |
| სვინდონი | 33 | 12 | 6 | 15 | 45:45 | 42 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 9 | 14 | 11 | 54:60 | 41 |
| ჰადერსფილდი | 34 | 10 | 11 | 13 | 40:48 | 41 |
| რედინგი | 32 | 10 | 10 | 12 | 43:50 | 40 |
| ჩარლტონი | 32 | 11 | 7 | 14 | 39:47 | 40 |
| სიტი | 31 | 11 | 5 | 15 | 39:43 | 38 |
| ბირმინგემი | 30 | 9 | 10 | 11 | 33:35 | 37 |
| ბრედფორდი | 33 | 8 | 10 | 15 | 32:50 | 34 |
| საუთენდი | 33 | 7 | 11 | 15 | 32:59 | 32 |
| გრიმზბი | 32 | 7 | 10 | 15 | 41:58 | 31 |
| ოლდემი | 31 | 6 | 10 | 15 | 32:43 | 28 |

## საფრანგეთი

XXVII ტური

### პარი სენ-ჟერმენი 1:1 გენგამი

0:1 კარნო (28), 1:1 რაი (67)

### ნიცა — კაენი [illegible]

1:0 [illegible] (41), [illegible]

### მეცი 2:0 მონაკო

1:0 ხერედზუმი (14), 2:0 როდრიგესი (90)

### ლილი 2:4 სტრასბური

1:0 გარსია (8), 1:1 ბატიკლი (16პ), 1:2 კოლე (35), 2:2 კოლო (56პ), 2:3 ნუმა (76), 2:4 ზიტელი (86)

### ლე აჟრი 0:0 კანი

### ბორდო 4:0 მარსელი

1:0 ზიანი (24), ლამბურდი (42), ბა (71), მიკუ (78)

### ბასტია 2:0 ნანსი

1:0 გოჰელი (60), 2:0 დრობნიაკი (89)

### ოსერი 0:2 მონპელიე

0:1 სანჩესი (54), 0:2 სანჩესი (58)

### რენი 0:1 ნანტი

0:1 გურვენკი (69)

### ლიონი 0:0 ლანსი

ჟან ტიგანას „მონაკო" ბოლოს 6 ნოემბერს „მარსელთან" დამარცხდა. მას მერე კარგა ხანია გასული და აგერ ახლა დაუცდა ფეხი. მონაკოელთა ამ უიღბლობით „სენ ჟერმენს" შეეძლო სარგებლობა, მაგრამ მოგება კი არა, რომ არ წააგო, წმინდა გერმანეს სანთელი უნდა დაუნთოს. ისე, პარიზელთა ვერმოგება მოსალოდნელიც იყო, რადგან მათ „გინგამი" ჩემპიონატში არასდროს (!) დაუმარცხებიათ. „გულნატკენი ვარ, რომ „მონაკოს" დაწევის ჩინებული შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან — თქვა პსჟ-ს თავდამსხმელმა სირილ პოჟემ.

„ბორდო" — „მარსელი" ცალკარა გამოდგა. მარსელელთათვის ამ საცოდავ საღამოს მათი ფორვარდი ქსავიერ გრაველინი გააძევეს. მიზეზი: ცნობილ მეტოქეს ჟან-პიერ პაპენს ხელი გაარტყა. — მან გამომიწვია და მეც თავი ვერ შევიკავე — თქვა გრაველინმა, ვინც საკუთარ საქციელს სულელური უწოდა.

ჩემპიონმა „ოსერმა" შინ 0:2 წააგო „მონპელიესთან". ახლა „მონპელიეს" თორმეტი მატჩია არ წაუგია. „ოსერის" მწვრთნელმა გი რუმ დაიჩივლა, ალჟირელი მუსა საიბი და აბდელ ტასფო მაკლდნენო. — სამწუხაროა, რომ მოთამაშეები ნაკრებში თავიანთი კლუბების საზარალოდ მიდიან ხოლმე — თქვა მან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 27 | 16 | 7 | 4 | 48:22 | 55 |
| პსჟ | 27 | 13 | 10 | 4 | 39:21 | 49 |
| ბასტია | 26 | 14 | 6 | 6 | 38:26 | 48 |
| სტრასბური | 27 | 15 | 1 | 11 | 39:36 | 46 |
| ბორდო | 27 | 12 | 9 | 6 | 43:29 | 45 |
| ნანტი | 27 | 10 | 12 | 5 | 45:26 | 42 |
| ოსერი | 27 | 11 | 9 | 7 | 32:21 | 42 |
| მეცი | 27 | 11 | 9 | 7 | 30:23 | 42 |
| მარსელი | 27 | 9 | 10 | 8 | 30:27 | 37 |
| ლიონი | 27 | 9 | 10 | 8 | 35:39 | 37 |
| გინგამი | 27 | 8 | 10 | 9 | 23:25 | 34 |
| მონპელიე | 27 | 7 | 11 | 9 | 24:27 | 32 |
| რენი | 27 | 9 | 5 | 13 | 30:38 | 32 |
| კანი | 27 | 7 | 10 | 10 | 16:25 | 31 |
| ლანსი | 27 | 8 | 6 | 13 | 29:41 | 30 |
| ლილი | 27 | 7 | 9 | 11 | 27:43 | 30 |
| ლე ავრი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:32 | 28 |
| კაენი | 26 | 4 | 10 | 12 | 22:33 | 22 |
| ნანსი | 27 | 5 | 7 | 15 | 22:36 | 22 |
| ნიცა | 27 | 4 | 7 | 16 | 22:48 | 19 |

## პორტუგალია

**21-ე ტური. ბენფიკა — ლეირია 1:0; ბრაგა — სეტუბალი 2:1; გიმარაეში — შავეში 4:1; პორტუ — სალგეირუში 1:2; ლეცა — ამადორა 1:1; რიუ ავე — ბოავიშტა 0:0; ბელენენსეში — ვიტორია 1:1; ფარენსე — ეშპინიუ 3:1; მარიტიმუ — სპორტინგი ნუხელ გაიმართა.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 18 | 2 | 1 | 51:12 | 56 |
| ბენფიკა | 21 | 13 | 4 | 4 | 36:12 | 43 |
| სპორტინგი | 20 | 12 | 5 | 3 | 31:10 | 41 |
| გიმარაეში | 21 | 10 | 4 | 7 | 35:27 | 34 |
| ბრაგა | 21 | 9 | 7 | 5 | 27:30 | 34 |
| ამადორა | 21 | 8 | 7 | 6 | 24:20 | 31 |
| სალგეირუში | 21 | 7 | 7 | 7 | 27:31 | 28 |
| ეშპინიუ | 21 | 8 | 4 | 9 | 20:28 | 28 |
| შავეში | 21 | 7 | 6 | 8 | 25:33 | 27 |
| ფარენსე | 21 | 6 | 8 | 7 | 19:20 | 26 |
| სეტუბალი | 21 | 6 | 7 | 8 | 24:29 | 25 |
| ბელენენსეში | 21 | 6 | 7 | 8 | 26:35 | 25 |
| ლეცა | 21 | 6 | 6 | 9 | 24:27 | 24 |
| მარიტიმუ | 20 | 6 | 6 | 8 | 23:29 | 24 |
| ბოავიშტა | 21 | 4 | 11 | 6 | 26:26 | 23 |
| ლეირია | 21 | 4 | 4 | 13 | 15:33 | 16 |
| რიუ ავე | 21 | 3 | 5 | 13 | 20:33 | 14 |
| ვილ ვისენტე | 21 | 2 | 6 | 13 | 19:37 | 12 |

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინის ჩემპიონატის პირველსავე ტურში თავი გამოიჩინა „ველეჯ სარსფილდის“ პარაგვაელმა მეკარემ ხოსე ლუის შილავერმა, ვინაც კვირას „ნიუელს ოლდ ბოისთან“ მატჩში პენალტით გახსნა ანგარიში. ეს შილავერის მეთორმეტე გოლია „ველეჯში“. შეხვედრა 1:1 დასრულდა, რადგან 86-ე წუთზე სტუმრებმა საპასუხო გოლი გაიტანეს. სხვა მატჩები: ბოკა ხუნიორსი — ესტუდიანტესი 2:1, რესინგი — როსარიო სენტრალი 5:0, რივერ პლეიტი — გიმნაზია ლა პლატა 2:0.**

აფრიკის თასის გათამაშების მეექვსე შესარჩევ ჯგუფში კვირას ტოგოში იქაურთა ნაკრებმა 1:1 ითამაშა ზაირთან. შეხვედრას 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. სტუმრებმა ანგარიში 90-ე წუთზე გააყამეს.

**ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ აფრიკის თასზე ტანზანია — ნიგერიის 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში აფრიკის გუნდები გაცილებით უკეთ იასპარეზებენ, ვიდრე აშშ-ში, მაგრამ იქვე დასძინა, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ევროპის ქვეყანა მოიპოვებს, რადგან დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე კარგი საწვრთნელო პირობები სწორედ მათ გააჩნიათო.**

ბრაზილიის ახლადაწყებულ ჩემპიონატში უკვე შეიცვალა მწვრთნელი. „ბენფიკას“ მწვრთნელყოფილი პაულო აუტუორი „კრუზეიროს“ დამრიგებლად დაინიშნა. ბოლო ტურში ეს გუნდი შინ 1:2 დამარცხდა „გრემიოსთან“ და სწორედ ამან შეიწირა კლუბის მწვრთნელი, წარსულში ბრაზილიის ნაკრების წევრი ოსკარი.

**ჰონკონგში ადგილობრივი ნაკრები სამხრეთ კორეასთან 0:2 დამარცხდა. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ანგარიში 61-ე წუთზე სეო იუნგ ვონმა გახსნა, 74-ზე კი ჩოი მუნ-სიკმა გააორმაგა. მეტოქეები აზიის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობენ.**

სინგაპურის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს, „დანჰილის თასის“ საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარია. A ჯგუფში ჩინეთმა ჯერ მასპინძლებს მოუგო 3:1, შემდეგ კი ფინეთს 2:1. ფინეთი მალაიზიამაც 2:1 დაამარცხა, შემდეგ კი სინგაპურთან 0:0 ითამაშა. ნახევარფინალები 28 თებერვალს გაიმართება, ფინალი 2 მარტს.

**რუსეთის ერთ-ერთმა დიდმა კომპანიამ „სურგუტნეფტგაზმა“ სანქტ-პეტერბურგის „ზენიტის“ შეფობა იკისრა. შეთანხმების თანახმად, „ზენიტი“ კომპანიის ემბლემას გამოსახავს მატჩის პროგრამებზე, ბილეთებზე, პლაკატებზე, სხვა სუვენირებზე, მაგრამ არა კლუბის მაისურებზე. „რუსეთის ფეხბურთი სანქტ-პეტერბურგში დაიბადა და ამიტომ ჩავთვალეთ თავი მოვალედ, შევეშველებოდით „ზენიტს“ — განაცხადა „სურგუტნეფტგაზის“ კომერციულმა დირექტორმა რაისა კოჩენკომ.**

ბელგიის ჩემპიონატის ლიდერ „მუსკრონის“ მწვრთნელად დაინიშნა უგო ბრუსი, ვინაც გასულ სეზონში „ბრიუგეს“ ჩემპიონობაც მოაპოვებინა და თასიც. 44 წლის ბრუსი შეცვლის ჟორჟ ლიკენსს, რომელიც ერთი თვის წინ ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. 1992 წელს ბრუსი ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად იყო დასახელებული.

**იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტად აირჩიეს ფრანკო კარარო. მას შემდეგ, რაც დეკემბერში ლიგის პრეზიდენტი ლუჩანო ნიცოლა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს, ეს თანამდებობა ვაკანტური იყო. კარარო ადრე „მილანის“ პრეზიდენტიც იყო და ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისაც. არჩევნებში მან 38-დან 36 ხმა მიიღო. კარარო ამავდროულად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრიცაა.**

თურქეთის მეორე ლიგის კლუბ „ესქიშეჰირსფორის“ ორი მოთამაშე და დირექტორი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. კლუბის თოთხმეტი მოთამაშე დაშავდა. ავარია ანკარიდან 36 კილომეტრის დაშორებით მოხდა. კლუბის ავტობუსი თოვლისგან მოყინულ გზაზე ამოყირავდა.

**საფრანგეთის ნაკრების წევრმა კრისტოფ დიუგარიმ განაცხადა, 1998 წლამდე ანუ მსოფლიოს ჩემპიონატამდე „მილანს“ დავტოვებო. მისი თქმით, იგი ამ კლუბში სათამაშოდ და გოლების გასატანად მივიდა და არა მინდორზე ხანდახან გასასვლელად. ისიც დასძინა, „მილანში“ თავს ბედნიერად ვერ ვგრძნობო. დიუგარის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ „მილანიდან“ წავა, სხვა იტალიურ კლუბში არ გადავა. კლუბში ხანდახან თამაშის მიუხედავად, ნაკრების მწვრთნელმა იგი მაინც მიიწვია ჰოლანდიელებთან ხვალ სათამაშოდ.**

ჰოლანდიელმა რუუდ გულიტმა, ლონდონის „ჩელსის“ თავკაცმა, პრემიერლიგაში თამაში შესთავაზა ჰოლანდიის ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის“ 20 წლის ვარსკვლავს პატრიკ კლუივერტს. გულიტის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ კლუივერტი „ჩელსიში“ გადავა, მისი ერთი კვირის გასამრჯელო 25 ათასი გირვანქა იქნება.

**ფიფამ განახადა, რომ აპრილში, საფრანგეთ-შვედეთის ამხანაგურ მატჩში პირველად გამოსცდის „ელექტრონულ მსაჯს“. ამ შეხვედრაში საჭოჭმანო სიტუაციებში არბიტრს საშუალება ექნება დახმარებისთვის ვიდეოჩანაწერს მიმართოს. „საფრანგეთის ფეხბურთის ასოციაციამ ითავა ამ ექსპერიმენტის ჩატარება, რაზეც თანხმობა განვაცხადეთ“ — თქვა ფიფას პრესატაშემ ანდრეას ჰერენმა.**

ალბანეთის ჩემპიონატის განახლება კვლავაც საეჭვოა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ წინა კვირას ჩემპიონატის განახლება ბრძანა, პირველობა მაინც არ დაწყებულა. ალბანეთის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ედუარდ დერვიშმა ჩემპიონატის განახლების წინაპირობად კლუბების უსაფრთხოება მოსთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მისი თქმით, თუ პოლიცია ამ საქმეს თავს ვერ გაართმევს, მაშინ საფრთხე დაემუქრება ტირანაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს. ალბანელები 29 მარტს უკრაინას მასპინძლობენ, 2 აპრილს კი გერმანიას.

**ბელგიაში „ანდერლეხტთან“ დაკავშირებულმა სკანდალმა მთელი ევროპა აალაპარაკა. ვინმე ჟან ელსტმა განაცხადა, რომ კლუბის მაშინდელი თავმჯდომარის კონსტანტ ვანდენ სტოკის დავალებით მან 1984 წელს „ნოტინგემთან“ უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრის წინ მოქრთამა ესპანელი არბიტრი. ეს ამბავი ადრეც გაცნობეთ, ახლა კი ელსტმა ისიც განაცხადა, მსაჯი არამარტო „ნოტინგემთან“ მოვქრთამე, იგივეს გაკეთებას ოსტრავის „ბანიკთანაც“ ვეცადეო. იმ მატჩის არბიტრი ნამუსიანი კაცი გამომდგარა და თავი არ მოაქრთამვინა. „მსაჯმა მითხრა, თქვენი ბედი, ამ ამბავს უეფაში რომ არ ვაცნობებო. მაშინ ჩვენ ნაღდად გადავრჩით დისკვალიფიკაციას“ — განაცხადა ელსტმა. მანვე დასძინა, რომ ამ შავი საქმის გასაკეთებლად „ანდერლეხტმა“ მას 100 ათასი ბელგიური ფრანკი გამოუყო.**

ჰოლანდიაში შაბათ-კვირას გაიმართა ქვეყნის ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩები. ამსტერდამში „აიაქსმა“ 3:0 დაამარცხა „ფეიენოორდი“. გოლები ბაბანგიდამ, კლუივერტმა და ლიტმანენმა გაიტანეს. პსვ-მ შინ 2:1 სძლია „აზ-67“. მასპინძელთაგან გოლები ზენდენმა და იონკმა (პენალტით) გაიტანეს. ენსხედეს „ტვენტემ“ სტუმრად 2:1 მოუგო „დეტინჰემს“. სტუმრთაგან თავი ვან ჰელსტმა (პენალტით) და პეტროვმა გამოიჩინეს. არნემში ადგილობრივმა „ვიტესმა“ 6:1 გაანადგურა „გრონინგენი“. გამარჯვებულთაგან ოთხი გოლი შეაგდო ბერძენმა მახლასმა, თითო-თითო მაკეიმ და დელ ოლიმიმ. ტურის სხვა მატჩები ასე დასრულდა: ბრედა — ჰერენვენი 2:2, როდა — ტილბურგი 2:1, ვალვაიკი — ნაიმეგენი 3:1, უტრეხტი — სპარტა 0:1, ვოლენდამი — სიტარდი 2:0.

**ნიგერიელი ნვანკვო კანუს მდგომარეობა დღითიდღე კი უმჯობესდება, მაგრამ, ექიმების აზრით, ფეხბურთში მის დაბრუნებაზე საუბარი ჯერნაადრევია. კანუ ლოს ანჯელესის ჰოსპიტალში მკურნალობს. წინა კვირას მას მილანის „ინტერის“ პრეზიდენტმა და ექიმმა ჩააკითხეს. კანუ „ინტერმა“ 2 მილიონ დოლარად იყიდა „აიაქსისგან“, მაგრამ მალე მას ექიმებმა გულის ავადმყოფობა დაუდგინეს.**



ნვანკვო კანუ

# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO“

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXV ტური

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბრედფორდი — მანჩესტერ სიტი | 2,4 | 2,5 | 2,8 |
| გრიმსბი — ბირმინგემ სიტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ნორვიჩი — ჰადერსფილდი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| ოქსფორდი — კრისტალ პალასი | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| პორტ ვეილი — რედინგი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პორტსმუთი — შეფილდ იუნაიტედი | 2,4 | 2,6 | 2,7 |
| ქუინზ პარკი — ოლდემი | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| საუთენდი — ბარნსლი | 3,1 | 3,0 | 2,0 |
| სვინდონი — ჩარლტონი | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| ვულვერჰემპტონი — იფსვიჩი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ტრანმერი — სტოკ სიტი | 2,1 | 2,8 | 3,1 |

### იტალიის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | |
| ბოლონია — ვიჩენცა | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| 26 თებერვალი | | | |
| ნაპოლი — ინტერი | 2,5 | 2,6 | 2,6 |

### ესპანეთის თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

26 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ბარსელონა | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| ბეტისი — რაიო ვალეკანო | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| რასინგი — სელტა | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| ლას პალმასი — ესპანიოლი | 2,9 | 2,8 | 2,2 |

### ამხანაგური მატჩები

26 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისრაელი — გერმანია | 7,0 | 4,2 | 1,25 |
| 1:0 | 3,5 | 3,4 | 1,5 |
| საფრანგეთი — ჰოლანდია | 1,9 | 2,8 | 3,4 |

ინგლისის თასის მატჩების კოეფიციენტებს ადგილზე იხილავთ.

### კოეფიციენტები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 3,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| შტუტგარტი | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ინგლისი | |
|---|---|
| ლივერპული | 1,8 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 1,8 |
| ნიუკასლი | 3,0 |
| არსენალი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| მონაკო | 1,3 |
| პარი სენ-ჟერმენი | 2,8 |
| ბორდო | 7,0 |
| ნანტი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| რეალი | 1,4 |
| ბარსელონა | 2,5 |
| დანარჩენი | 10,0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| პორტუ | — |
| ბენფიკა | 9,0 |
| სპორტინგი | 9,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 |
| გრასჰოპერი | 2,5 |
| სიონი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| თურქეთი | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფენერბაჩე | 2,0 |
| ტრაბზონსფორი | 3,0 |
| ბეშიქთაში | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| იტალია | |
|---|---|
| იუვენტუსი | — |
| ინტერი | 6,0 |
| სამპდორია | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ეინდჰოვენი | 1,3 |
| ფეიენოორდი | 3,0 |
| აიაქსი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ბელგია | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,5 |
| მუსკრონი | 2,0 |
| ანდერლეხტი | 4,0 |
| ლიერსი | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| ავსტრია | |
|---|---|
| რაპიდი | 1,25 |
| ზალცბურგი | 3,1 |
| ტიროლი | 7,0 |
| აუსტრია | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,1 |
| სელტიკი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

### კოეფიციენტები ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაზე

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,0 | ბარსელონა | 2,2 | ინტერი | 2,2 |
| მანჩესტერი | 4,0 | ლივერპული | 2,2 | ნიუკასლი | 2,2 |
| დორტმუნდი | 4,5 | ფიორენტინა | 3,0 | ვალენსია | 5,0 |
| აიაქსი | 5,5 | პარი სენ-ჟერმენი | 5,0 | მონაკო | 5,0 |
| პორტუ | 6,0 | ბენფიკა | 7,0 | ტენერიფე | 6,0 |
| ატლეტიკო | 7,0 | აეკი | 10,0 | შალკე | 8,0 |
| ოსერი | 10,0 | აიკი | 50,0 | ანდერლეხტი | 10,0 |
| რუსენბორგი | 50,0 | ბრანი | 50,0 | ბრონდბიუ | 15,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

# სიყვარულიც ამას ჰქვია!

[illegible]

ლევან [illegible]

# მადლობა ებრაელებს

[illegible]

# ამათ ოქრო გაუტკბათ

[illegible]

# გიორგი ბახტაძის 100 პროცენტი

[illegible]

# რევაზიშვილი მეორეა, ბაზგაძეები მესამე

[illegible]

## [illegible]

[illegible]

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

21 თებერვალი

[illegible]

22 თებერვალი

[illegible]

23 თებერვალი

[illegible]

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| [illegible] | 42 | 13 | 76,4 |
| [illegible] | 40 | 15 | 72,7 |
| [illegible] | 27 | 25 | 51,9 |
| [illegible] | 24 | 30 | 44,4 |
| [illegible] | 16 | 38 | 29,6 |
| [illegible] | 14 | 39 | 26,4 |
| [illegible] | 11 | 43 | 20,4 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| [illegible] | 48 | 6 | 88,9 |
| [illegible] | 40 | 13 | 75,5 |
| [illegible] | 35 | 18 | 66,0 |
| [illegible] | 34 | 21 | 61,8 |
| [illegible] | 30 | 23 | 56,6 |
| [illegible] | 25 | 28 | 47,2 |
| [illegible] | 25 | 29 | 46,3 |
| [illegible] | 19 | 35 | 35,2 |

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| [illegible] | 38 | 15 | 71,7 |
| [illegible] | 36 | 19 | 65,5 |
| [illegible] | 27 | 27 | 50,0 |
| [illegible] | 18 | 34 | 34,6 |
| [illegible] | 17 | 39 | 30,4 |
| [illegible] | 13 | 40 | 24,5 |
| [illegible] | 11 | 47 | 19,0 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| [illegible] | 38 | 15 | 71,7 |
| [illegible] | 38 | 16 | 70,4 |
| [illegible] | 29 | 26 | 52,7 |
| [illegible] | 24 | 30 | 44,4 |
| [illegible] | 22 | 29 | 43,1 |
| [illegible] | 20 | 32 | 38,5 |
| [illegible] | 20 | 36 | 35,7 |

ჰოკეი



[illegible]

# აუტსაიდერები გახარდნენ

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

[illegible]

# ირაკლი, ნინო, ანდრო

[illegible]

# წინა კვირის ჩოგბურთი



## ჩანგი

ამერიკელ ჩინელ მაიქლ ჩანგს ერთგული ება დაუფასდა. ამ ცხრა წლის წინ, 15 წლის ბიჭს ვაილდ-ქარდი მიართვეს მემფისის (ტენესის შტატი) ტურნირის ორგანიზატორებმა. პროფესიული სარბიელის ახალბედამ მაშინ რიკ ლიჩი დაამარცხა, მერე კი მემფისელებს დიდი პატივი დადო და ყოველ წელს ეწვეოდა ხოლმე, მაგრამ ფინალში ოდენ წელს გავიდა. გავიდა, მოიგო, წელს — პირველი, კარიერაში კი 27-ე ტიტული მოიპოვა, ჯილდოდ 120 ათასი $ დაირტყა, კლასიფიკაციაშიც ერთი საფეხურით, მე-4 ადგილამდე აღზევდა. ეს ჩანგისთვის მშვენიერი საჩუქარი იყო, რადგან შაბათს 25 წლის შესრულდა.

„კროგერ სენთ-ჯუდ კლასიკის“ ფინალში ჩანგმა (1) ზედიზედ მეშვიდედ — ამჯერად საათსა და 39 წუთში 6:3, 6:4 ძლია თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, 8), რომელსაც ერთი, რომ 34 უნებური შეცდომა მოუვიდა და მეორეც, ვერც თანამემამულე მარკ ვუდფორდთან ერთად ივარგა წყვილად: „ვუდებს“ ნახევარფინალში 7:6 (7-4), 6:4 აჯობეს ელის ფერერამ (სამხ. აფრიკა) და პატ გალბრეითმა (აშშ), რომლებმაც მერე ფინალიც მოიგეს — ამერიკელები რიკ ლიჩი და ჯონათან სთარქი 6:3, 3:6, 6:1 დაამარცხეს.

ნახევარფინალი: ჩანგი — თოდ მარტინი (აშშ, 3) 3:6, 6:4, 6:4; ვუდბრიჯი — იონას ბიორკმანი (შვედეთი, 13) 6:1, 7:5. მეოთხედფინალი: ჩანგი — რიჩი რენებერგი (აშშ, 7) 7:6 (7-4), 6:4; მარტინი — ბრეთ სთივენი (ზელანდია) 6:4, 7:6 (7-3); ვუდბრიჯი — ჯეფ თარანგო (აშშ) 6:3, 6:1; ბიორკმანი — პაულ ჰაარჰუისი (ჰოლანდია, 5) 6:3, 6:4

მემფისში თამაშობდა ანდრე აგასიც (აშშ, 2). იგი მეორე წრეში იმსხვერპლა 83-ე ჩოგანმა, ბრაზილიელმა გუსტავო კერტენმა 6:2, 6:4. 14-ე ჩოგანი აგასი მეორე ხელში დაეცა, მარცხენა კოჭი ისევ იღრძო და ორი კვირა ვერ ითამაშებს. მალ ვოშინგთონი (აშშ, 5) იმავე ეტაპზე 7:6 (10-8), 6:3 გაასწორდო არგენტინელმა ხავიერ ფრანამ.



## დავენპორტი

ოკლაჰომა-სითიში (აშშ) „აიჯი-ეი კლასიკი“ მოიგო ლინდზი დავენპორტმა (აშშ, 1), ვინაც ფინალში 6:4, 6:2 ძლია ლიზა რეიმანდი (აშშ, 4). აზმახმა ლინდზიმ კარიერაში მე-8 ტიული მოიხვეჭა, შარშან აგვისტოს აქეთ კი — პირველი.

ნახევარფინალი: დავენპორტი — ქიმბერლი პო (აშშ, 3) 1:6, 6:2, 6:3; რეიმანდი — ფრანჩესკა ლუბიანი 6:1, 6:0. მეოთხედფინალი: დავენპორტი — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 5) 6:3, 6:4; რეიმანდი — პამ შრაივერი (აშშ) 7:5, 7:6 (7-1); პო — სანდრა ჩაკიჩი (აშშ) 6:3, 6:3; ლუბიანი — ამანდა კუტცერი (სამხ. აფრიკა, 2) 6:0, 6:4

34 წლის შრაივერმა 19-წლიანი კარიერა დაასრულა. ლუბიანიმ კუტცერს I ხელი 25 წუთში მოუგო, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა დავენპორტმა კი 59 წუთი ამყოფინა ბარსელონის ჩემპიონ კაპრიატის გაგდება. მერე რეიმანდმა ლუბიანის ოდენ 6 ქულა დაანება და 41 წუთში (!) მოუგო.



## როსე

ანტვერპენში (ბელგია), ევროპის თანამეგობრობის ჩემპიონატის მეოთხედფინალს ერთადერთა განთესილმა — ბრიტანელმა თიმ ჰენმანმა (6) მიაღწია. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 1) და ბორის ბეკერი (გერმანია, 4) სტარტამდე გამოაკლდნენ შეჯიბრს. გორანს მარცხენა ბეჭის ანთება დაემართა, ბორისმა კი, მას შემდეგ, რაც გორანს უთამაშებლად დანებდა დუბაის ტურნირის მეოთხედფინალში, ექიმები მოიკითხა და თითქოს მოურჩა ჯერ კიდევ შარშანდელ უიმბლდონზე ნატკენი მაჯა, მაგრამ ახლა კისრის ნერვმა შეაწუხა და არც ამ კვირაში იასპარეზებს მილანის ტურნირში.

პირველ წრეში გავარდა შარშანდელი ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შტიხი (7), ვისაც ძლია მარკ-კევინ გელნერმა (გერმანია) 7:6 (8-6), 6:4. მეორეში ფრანსისკო კლავეტმა (ესპანეთი) ძლია თომას ენკვისტი (შვედეთი, 3) 4:6, 7:6, 6:3, ხოლო მარტინ დამმა (ჩეხეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე, 2) 4:6, 7:5, 7:6 (7-3). ჩილელი წინა კვირას მარსელის ტურნირის ფინალში ფეხის ტრავმის გამო დანებდა ენკვისტს, ახლა კი ბოლომდე გაძლო.

მეოთხედფინალი: პეტრ კორდა (ჩეხეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 6:3, 6:4; გელნერი — დამი 3:1 (ჩეხს რიოსის ძლევისას ნაღრძობი კოჭი ატკივდა); ჰენმანი — კლავეტი 7:6 (7-4), 6:4; მარკ როსე (შვეიცარია) — ფილიპ დევულფი (ბელგია) 4:6, 6:1, 6:4. ნახევარფინალი: ჰენმანი — გელნერი 6:4, 6:4 (70 წუთში); როსე — კორდა 7:6 (7-2), 6:3; 33-ე ჩოგან კორდას პირველ წრეში ბეკერთან უნდა ეთამაშა; გელნერმა ორივე ხელი ორმაგი შეცდომით დაიწყო, ჰენმანი კი წელს უკვე მესამედ გავიდა ფინალში.

ფინალში 26 წლის 23-ე ჩოგანმა როსემ, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი რომაა, მაგრამ ბოლო 20 თვის მანძილზე ვერსად გაემარჯვა, ჰენმანს 16 ეისი ჩაუგდო, 6:2, 7:5, 6:4 ძლია და კარიერის მე-12 ტიტული მოიხვეჭა. მისი ჰონორარია 162 500 $. აყლაყუდა მარკს ცოტა ხნით დააჭერინეს ბრილიანტებით მოოჭვილი ოქროს ჩოგანი. ამას მასპინძლები იმას პირდებიან, ვინც 5 წლის მანძილზე ჩემპიონი 3-ჯერ გახდება.



## მაიოლი

ჰანოვერში (გერმანია), „ფაბერ გრან-პრის“ ფინალში ზედიზედ მესამე წელია გავიდნენ იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 1) და ივა მაიოლი (ხორვატია, 3). შარშანდელის დარად გაიმარჯვა მაიოლიმ 4:6, 7:6 (7-2), 6:4. ივა მეორე ხელში მატჩ-პოინტს დაუძვრა, თავად კი მესამეზელა მოიგო. დარბაზში ისეთი სიცხე იდგა, რომ ორივე ფინალისტის ფეხის კრუნჩვა აუტყდა. ხორვატმა უკანა ხაზიდან თამაშით გატეხა მეტოქე და კარიერაში მე-5-ედ მოიგო ტურნირი.

**ირაკლი ნინუა**

# მთის თხილამურების მსოფლიო თასი

ვაჟთა მსოფლიო თასის ბოლომდე გასამართი რვა ეტაპილა რჩება — ნორვეგიაში, იაპონიასა და აშშ-ში. მათგან ოთხია ჩქაროსნული (დაშვება, სუპერ-გიგანტი), ოთხიც — ტექნიკური (სლალომი, გიგანტური სლალომი).

ჩქაროსნული სახეობების კარუზო 31 წლის ფრანგი ლიუკ ალფონია. მან უქმეებზე გადასარევად იასპარეზა გარმიშ-პარტენკირხენში (გერმანია), სადაც სამი სტარტიდან ორი მოიგო და ჯამურ ჩათვლაში გაუსწრო უმთავრეს კონკურენტს, ნორვეგიელ უნივერსალ ხეტილ-ანდრე ომოდტს. თუ „ლიუშოდ“ ცნობილი ალფონი სეზონის ბოლომდე გაძლებს ცხრილის კენწეროში, შეიქნება პირველი ფრანგი, ვინაც ჟან-კლოდ კილის 1968 წლისეულ მიღწევას გაიმეორებს. და კიდევ, ლიუკი იქნება პირველი ჩქაროსანი, ვინც ავსტრიელი კარლ შრანცის (1970) შემდეგ ჯამურ მსოფლიო თასს დაეუფლება



## ლიუშოს შემოტევა

**პარასკევი, 22. II. სუპერ-გიგანტი**

1. ლიუკ ალფონი (საფრანგეთი) 1. 15,32; 2. ჰერმან მაიერი (ავსტრია) ჩამორჩა 0,55 წამით; 3. ვერნერ პერათონერი (იტალია) 0,58; 4. ედ პოდივინსკი (კანადა) 0,64; 5. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 0,65; 6. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 0,66; 7. პეტერ რუნგალდიერი (იტ) 0,82; ... 10. ატლე სკაარდალი (ნორვ, მსოფლიო ჩემპიონი) 0,90

ალფონმა წარუმატებლად იასპარეზა სესტრიერეს მსოფლიო ჩემპიონატზე — დაშვებისას დაეცა, სუპერ-გიგანტში კი XII ადგილი დაიჭირა. ახლა, როგორც თავადა თქვა, მარცხიანმა პერიოდმა გადაიარა, მაგრამ მსოფლიო თასის მოპოვებაზე მაინც არ ფიქრობს. თურმე ოდენ ის ახარებს, რომ თითოეულ ეტაპზე ომოდტზე მეტ ქულას აგროვებს.

გარმიშის ტრასა თუმც ზღვის დონიდან მაღლა არ მდებარეობს, მაინც ერთობ რთულად მიიჩნევა. სამი წლის წინ სწორედ მანდ დაიღუპა ავსტრიელი ჩემპიონი ქალი ულრიკე მაიერი.

მზე ანათებდა. შეჯიბრი დილით, დათქმულზე საათნახევრით ადრე დაიწყო. ტრასა სულ მთლად დახნული იყო.

ლიუშო, ვინაც გარმიშში 1992 წელს დაეცა, მე-3 დაეშვა. მისი შედეგი მერე ვეღარავინ გააუმჯობესა. ისე კი, ალფონს კვარცხლბეკზე მხარი ისეთმა ხალხმა დაუმშვენა, რომ არავინ ელოდა: პერათონერმა (მე-11 მესტარტემ) თვიხ დამდეგს მუხლის ოპერაცია გადაიტანა და სესტრიერეში არც უასპარეზია, 24 წლის მაიერმა კი 32-ე პოზიციიდან მოახერხა II ადგილზე გასვლა.

ამ ჯეელის ამბავი ცალკეა მოსათხრობი: ზორბა ჰერმანს მუხლის ტრავმის გამო 15 წლისას მიუტოვებია აქტიური სპორტი და კალატოზადა და თხილამურობის ინსტრუქტორად მუშაობით ურჩენია თავი. მერე გულიც მოსვლია, ყოფილ თანაგუნდელთა წარმატებას ტელევიზორით რომ ადევნებდა თვალს და ასპარეზს დაბრუნებია, ოღონდაც შარშანდლამდე ათეულში ვერაფრით ხვდებოდა. იანვარში მაიერი შამონიში (საფრანგეთი) დაშვებისას დაეცა და ხელი მოიტეხა.


„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


ალფონმა იმ დილით კარიერის მეორე სუპერ-გიგანტი მოიგო და 51 ქულით გაუსწრო ომოდტს.

**შაბათი, 22. II. დაშვება**

1. ალფონი 1. 54,27; 2. პიეტრო ვიტალინი (იტ) 0,58; 3. კრისტიან გედინა (იტ) 0,59; 4. სკაარდალი 0,68; 5. ფრანკო კავენი (შვეიც) 0,69; 6. ანდრეას შიფერერი (ავსტ) 1,06; 7. იოზეფ შტრობლი (ავსტ) 1,11; 8-9. კერნენი (მსოფლიო ჩემპიონი) და ფრიც შტრობლი (ავსტ) 1,16; 10. რუნგალდიერი 1,21; 11. ვერნერ ფრანცი (ავსტ) 1,31; 12. პერათონერი 1,41; 13. ლასე ხიუსი (ნორვ) 1,73

დაშვების მსოფლიო თასი (9 ეტაპის ჯამი): ალფონი 705 ქულა; გედინა 594; ფრანცი 462; სკაარდალი 436; ფ. შტრობლი 431; ი. შტრობლი 375; ვიტალინი 280; ვილიამ ბესე (შვეიც) 279

ტრასა წინა დღესთან შედარებით კიდევ უფრო ოღრო-ჩოღრო და მოლიპული იყო. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ გზის ნაწილი მზის გულზე გადიოდა, ნაწილი კი — ჩრდილში.

ალფონმა იქ შარშანაც გაიმარჯვა, დაშვება ამ სეზონში მეოთხედ მოიგო, კარიერაში — მეათედ და ამ სახეობის მსოფლიო თასს 111-ქულიანი სხვაობით ლიდერობს.

არც უინციდენტობა იყო: ვიტალინი რომ ეშვებოდა, ტრასაზე უთხილამურო კაცი გამოჩნდა. იტალიელმა მას ძლივს უგანა და შეჩერდა, მერე კი შეუულფრენით სასტრატო ჯიხურში აფრინდა, ხელმეორედ დაეშვა და II ადგილიც დაიკავა. სპორტსმენი გამოტყდა, რომ ფინიშიდან ერთი საათის თავზეც თავზარდაცემული იყო, რაკი დაშავებას სასწაულად გადაურჩა. ნირწამხდარი ჩანდა მთავარი ორგანიზატორი ჰუბერტ ოსტლერიც, ვისაც მაიერის დაღუპვის გამო სასამართლოებში მრავლად მოუწია წანწალი. იგი დიდი ამბით აცხადებდა, ჩვენთან უსაფრთხოების პრობლემას მოვევლოო.

**კვირა, 23. II. სუპერ-გიგანტი**

1. მაიერი 1.21,64; 2. გედინა 0,52; 3-4. სკაარდალი და ხიუსი 0,61; 5. რუნგალდიერი 0,77; 6. ალფონი 0,86; 7. შიფერერი 0,91; ... 16. ომოდტი 1,70

სუპერ-გიგანტის მსოფლიო თასი (4): ალფონი 272; რუნგალდიერი 181; მაიერი 180; სკაარდალი 172; ი. შტრობლი 153; ჰანს კნაუსი (ავსტრია) 145; გედინა 136

მაიერი ოდენ მესამედ მონაწილეობდა სუპერ-გიგანტში და კარიერის პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. ჰერმანს ფინიშთან დროშის ფრიალით შეეგება მშობლიური დაბის — ფლახაუს დელეგაცია.

ალფონი ამჯერად VI ადგილს დაჯერდა. ფრანგმა მაგრად გაჯორა ნორვეგიელი მსაჯები, რომლებმაც ტრასა ისე მიხვეულ-მოხვეული დაგეზეს, რომ მათ ტექნიკურ თანამემამულეებს ჰქონოდათ უპირატესობა. ლიუშომ მართებულად შენიშნა, კვირის შედეგები პარასკევისას 6 წამით ჩამორჩა, რაკი ფაქტობრივად გიგნატური სლალომი მოგვიწყესო.

ვაჟთა მსოფლიო თასის მოწინავე ათეული (29 ეტაპის ჯამი): ალფონი 977 ქულა; ომოდტი 814; გედინა 802; ი.შტრობლი 674; თომას სიკორა (ავსტ) 668; მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიც) 622; სკაარდალი 608; ფრანცი 569; გიუნთერ მადერი (ავსტ) 505

ამ კვირის უქმეებზე ვაჟები იასპარეზებენ კვიტფიელში (ნორვეგია), სადაც პროგრამაში ისევ დაშვება და სუპერ-გიგანტია. ქალები შეიკრიბებიან 1998 წლის ოლიმპიადის ბინაზე — ნაგანოში (იაპონია) და ორ დაშვებას გამართავენ.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29


# საერთაშორისო რაგბი




## შუა უზის დიდი ზღვარი

**ძმ ბრძანა ინგლისის „ლესთერის“ ავსტრალიელმა მოძღვარმა ბობ დვაიერმა, ევროპის თასის მონაწილე კლუბები სამხრეთი ნახევარსფეროს ზე-12-ის პროვინციებს წამოეწივნენო, მაგრამ ნახევარსფეროების ჩემპიონთა შაბათს გამართულმა შერკინებამ, არა-ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონი რომ უნდა გამოევლინა, სულ სხვა რამ დაამტკიცა. ეს უკვე მერამდენედ გამოჩნდა, რომ სამხრეთელები ევროპელებს კვლავაც ჯობნიან ზომით, წონით, სიმარდით, ტექნიკით, ტაქტიკით, თამაშის ორგანიზაციითა და ა. შ.**

**ბრივი 11 : 47 ოქლენდი**

**(6:27). მსაჯი ქემფსოლი (ინგლისი)**

**ბრივი (საფრანგეთი): ვიარი; ფაბრი, ლამეზონი, ვანდიტი, კარა; პენო (ძპპ), კარბონო — კაზადეი, ტრავერი, კრესპი; ალეგრე, როსი; ფანდერლინდენი, კაცალტ, დიუბუასე. — ლ: ტრავერი; 2ს: ვიარი**

**ოქლენდი (ზელანდია): ქეშმორი; ვიდირი, ქლარქი, სთენსნესი, ლიმა; სპენსერი, ტონუუ; თომსონი, ფითსპატრიქი (ძპპ), ბრაუნი; რ. ბრუქი, ფრომონთი; რაიქლმანი, კარტერი, მიკა. — წლ: სთენსნესი 3, ვიდირი, ლიმა, მიკა; 4გ და 2ს: ქეშმორი; ა: სთენსნესი**

ოქლენდი სამხრეთ აფრიკას მიბრძანდება, სადაც ამ უქმეებზე პრეტორიაში ზე-12-ის სასტარტო მატჩი ელის. იქ გუნდს დაემატებიან ზინზან ბრუქი (8) და მაიქლ ჯოუნზი (7), რომლებიც „ლურჯებს“ ტრავმების გამო საშმატჩა ევროპულ ტურნეზე არ ხლებიან.

სტუმრებმა მე-2 წუთზე კარის წინ რომ დაიმსახურეს ჯარიმა, დარტყმის ნაცვლად გაათამაშეს, ცოტა ხანში კი პირველი ლელოც გაიტანეს: კრისტოფ ლამეზონის მოგერიებული ბურთი მოუვიდა ერონი ქლარქს, რომელმაც კარლოს სპენსერთან და სამოელ ბრაიან ლიმასთან წაიბურთავა. მე-10 წუთზე ფრანგებმა თავის 22-თან საკუთარი შერკინება წააგეს, სპენსერმა ლაჯებს შუა მიაწოდა ბურთი ლიი სთენსნესს, ვისაც 1993 წლის მერე აღარ აკარებენ ნაკრებს. ამან სამი ფრანგი დაიფრინა და ანგარიში 14:0 გახადა.

30-ე წუთზე „ბრივს“ სულ მთლად თავი მოეჭრა — მეტოქის შერკინებამ ძალისმიერი ლელო გაუტანა. თამაში შესვენების შემდეგ რომ განახლდა, ფრანგებმა წაიფაფხურეს: მათმა ზელანდიელმა ფორვარდმა გრანტ როსმა დერეფანი ორი ხელით მოიგო, სხვებიც დროულად მიაწვნენ, მაგრამ მერე დადგა მატჩის ბოლო მეოთხედი და ოქლენდმაც სულ მთლად აიშვა: ლიგის რაგბიდან დაბრუნებული მარკ კარტერის შემწეობით ბურთს თითქმის არა კარგავდა. ამ პერიოდში სთენსნესმა კიდევ ორი ლელო გაიტანა, ფიჯელმა ჯოელი ვიდირომ (ფოტოზე ბურთით) კი, საუკუნის ბოლოს „ოლ ბლექსში“ მოხვედრის იმედი რომა აქვს, 60 მეტრი ისე იარა, რომ მეტოქემ ვერაფერი დააკლო.

ფრანგთა კაპიტანმა ალენ პენომ თამაშის შეფასებისას თქვა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს 80 წუთი სარეცხ მანქანაში მამყოფესო. და კიდევ, 100-ჯერ რომ დაგეტაკება ავტობუსი, 101-ედ მისი შებოჭვა გაგიჭირდებაო.

**რეზო ნემსაძე**